ლელო

№ 62
(11022)

5 — 8 ოქტომბერი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა

ასეთი წარმატება ჯერ არავის და არასდროს მოუპოვებია მსოფლიოში!

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ერევანში საქართველოს ქალთა ნაკრების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მაია ჩიბურდანიძემ, ნანა იოსელიანმა, ქეთევან არახამიამ და ნინო გურიელმა სრულიად დამაჯერებლად, თუმცა მძიმე ბრძოლის შემდეგ, ზედიზედ მესამედ მოუტანეს საქართველოს საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედლები.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ნანა იოსელიანმა (მეორე დაფაზე) და ქეთევან არახამიამ (მესამეზე) მცირე ოქროს მედლები დაიმსახურეს დაფებზე მოპოვებული საუკეთესო შედეგისათვის. იგივე ჯილდოს ჩვენი გუნდის შესანიშნავი ლიდერი მაია ჩიბურდანიძეც იმსახურებდა, მაგრამ ოლიმპიადაზე ოდითგანვე არსებული, შეიძლება ითქვას, უკულმართი დებულების თანახმად დაფაზე გამარჯვებისათვის სულაც არ არის გათვალისწინებული ის, ვის და როგორი ძალის დიდოსტატებს ეთამაშები (მაიას კი, გასაგებია, ყველაზე ძლიერ მეტოქეებთან მოუხდა შეხვედრა), არამედ მაღალი პროცენტის მიღწევა. ეს მაღალი პროცენტი კი შეიძლება სულ უმნიშვნელო მოჭადრაკეებთან მოაგროვო, როგორც ამჯერადაც მოხდა აუტსაიდერებთან შეხვედრებში. მაია ჩიბურდანიძე თამაშობდა ლამაზად, შემტევი სტილით და მაგალითს აძლევდა პარტნიორებს. ნანა იოსელიანი გამოირჩეოდა ელეგანტური მანერით. მისი პარტიები არ შეიძლება სხვებთან აურიო („ეს ნანა იოსელიანია!“) ქეთევან არახამია არაჩვეულებრივი ბრძოლისუნარიანია, მის პარტიებში ყოველთვის იგრძნობა „დენთი“, ამავე დროს ისიც, რომ ქეთევანს ყოველთვის შეუძლია სხვაზე თუნდაც „ერთი ტყვიით“ მეტი გაისროლოს. ამ სამმა განთქმულმა დიდოსტატმა ერთი პარტიაც კი არ წააგო, რაც თავისთავად განსაკუთრებული შედეგია, სათადარიგო მონაწ-

იხ. მე-2 გვერდი

მაია ჩიბურდანიძე

დაიბადა 1961 წლის 1 იანვარს ქუთაისში. მეექვსე მსოფლიო ჩემპიონი (1978-1991). ოსტატის წოდება მოიპოვა 1974 წელს, საერთაშორისო ოსტატისა — 1976 წელს, საერთაშორისო დიდოსტატისა — 1977 წელს, ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატისა — 1978 წელს, ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატია — 1984 წელს. გაიმარჯვა ქალებისა და ვაჟების მრავალ საერთაშორისო ტურნირში. საჭადრაკო „ოსკარის“ მრავალგზის მფლობელი.

დაწერა წიგნი „ვთამაშობ კაცების წინააღმდეგ“. მონაწილეობდა მანილის, მოსკოვისა და ერევნის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

ნანა იოსელიანი

დაიბადა 1962 წლის 12 თებერვალს თბილისში. ოსტატის წოდება მოიპოვა 1976 წელს, საერთაშორისო ოსტატისა – 1978 წელს, საერთაშორისო დიდოსტატისა – 1979 წელს. 1978 და 1979 წლებში ზედიზედ ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი გოგონათა შორის. პრეტენდენტთა და საზონათაშორისო ტურნირების მრავალგზის მონაწილეა. ითამაშა ორი მატჩი მსოფლიო პირველობაზე. გაიმარჯვა მრავალ საერთაშორისო ტურნირში. მონაწილეობდა მანილის, მოსკოვისა და ერევნის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

ქეთევან არახამია

დაიბადა 1968 წლის 19 ივლისს ოჩამჩირეში. ოსტატის წოდება მოიპოვა 1984 წელს, საერთაშორისო ოსტატისა – 1985 წელს, საერთაშორისო დიდოსტატისა – 1987 წელს. 1993 წელს გახდა საერთაშორისო ოსტატი ვაჟთა შორის. 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონი 20 წლამდე ქალიშვილებს შორის. მონაწილეობდა პრეტენდენტთა საზონათშორისო ტურნირებში. გაიმარჯვა რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში. მონაწილეობდა მოსკოვისა და ერევნის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

ნინო გურიელი

დაიბადა 1961 წლის 7 დეკემბერს თბილისში. ოსტატის წოდება მოიპოვა 1976 წელს, საერთაშორისო ოსტატისა — 1978 წელს. საერთაშორისო დიდოსტატისა — 1979 წელს. მონაწილეობდა პრეტენდენტთა მატჩში და საზონათაშორისო ტურნირებში. გაიმარჯვა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში. მანილის, მოსკოვისა და ერევნის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში იყო.

ქართველი დესანტი იტალიაში გაფრინდა

FRANCE 98
COUPE DU MONDE
© 1994 ISL TM

4 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები თანმხლები პირებით ჩარტერული რეისით, უკრაინის ავიაკომპანიის თვითმფრინავით (თავდაპირველად საქართველოს ერთ-ერთმა ავიაკომპანიამ ჩვენებს სპეცრეისით მომსახურებაში 70 ათასი ამერიკული დოლარი მოსთხოვა. ეს თანხა სფფს ეძვირა და მან მიმართა კიევის ავიაკომპანიას, რომელიც 42 ათას დოლარზეც ყაბულს იყო) იტალიაში გაფრინდა.

თავდაპირველად ალექსანდრე ჩივაძემ დაასახელა ის 22 ფეხბურთელი, რომელსაც მომზადება უნდა გაევლო იტალია — საქართველოს 9 ოქტომბრის მატჩისათვის:

მეკარეები: ზოიძე, ტოგონიძე.

მცველები: რევიშვილი, შელია, ცხადაძე, კობიაშვილი, კუდინოვი, ჩხაიძე, ლობჟანიძე, მაჭავარიანი, კალაძე.

ნახევარმცველები: გოგიჩაიშვილი, ჯამარაული, ქინქლაძე, რ. არველაძე, ქეცბაია, ინალიშვილი, ნემსაძე, ცქიტიშვილი.

თავდამსხმელები: მ. ჯიშკარიანი, ყაველაშვილი, გოგრიჭიანი

გაფრენის წინ ალექსანდრე ჩივაძემ ამ ფეხბურთელებიდან იტალიაში გასამგზავრებლად 18 ფეხბურთელი შეარჩია (სიას გამოაკლდნენ რევიშვილი, ჯამარაული, კალაძე, ჩხაიძე).

მწვრთნელის განცხადებით, შოთა არველაძე ოპერაციის შემდეგ ვერ შევიდა სათანადო სპორტულ ფორმაში, ამიტომ არაა იგი გამოძახებული ნაკრებში.

იტალიაში გამგზავრების წინ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრები მიიღო ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

უკანასკნელ საათს

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები, მათი თანმხლები პირები რომში 4 ოქტომბერს, საშუალო ევროპული დროით დილის 11 საათზე გაფრინდნენ. აეროპორტში საქართველოს სპორტულ დელეგაციას დახვდნენ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი პირები, ჟურნალისტები. ამ უკანასკნელთაგან ჩვენებმა შეიტყვეს, რომ „სკუადრა აძურა“ წინა დღით გაფრინდა კიშინიოვში (5 ოქტომბერს იტალიელები მოლდოვის ეროვნულ ნაკრებს ხვდებიან) ასეთი შემადგენლობით:

მეკარეები: ლუკა ბუჩი („პარმა“), ფრანჩესკო ტოლდო („ფიორენტინა“).

მცველები: კრისტიან პანუჩი („მილანი“), ამადეო კარბონი („რომა“), ჯანლუკა პესოტო („იუვენტუსი“), ალესანდრო ნესტა („ლაციო“), პაოლო მალდინი („მილანი“), ჩირო ფერარა („იუვენტუსი“).

ნახევარმცველები: დამიანო ტომაზი („რომა“), დინო ბაჯო („პარმა“), რობერტო დი მატეო („ჩელსი“), ანჯელო დი ლივიო („იუვენტუსი“), ანტონიო კონტე („იუვენტუსი“).

თავდამსხმელები: ჯანფრანკო ძოლა („პარმა“), პიერლუიჯი კაზირაგი („ლაციო“), ფაბრიციო რავანელი („მიდლსბრო“), ენრიკო კიეზა („პარმა“).

კიშინიოვში გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე ცნობილი გახდა, რომ იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში მიღებული ტრავმის გამო მოლდოვასთან და საქართველოსთან მატჩებს გააცდენს „მილანისა“ და ნაკრების ნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინი. სწორედ მის ნაცვლად შეიყვანეს გუნდში ნახევარმცველი, 22 წლის დამიანო ტომაზი „რომადან“. იგი შარშან გადმოიყვანეს „ვერონადან“ და მაშინვე მიიქცია ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის მესვეურთა ყურადღება.

ამასობაში თავად ალბერტინიმ კი დრო ტყუილად რატომ უნდა დაკარგოო – ისარგებლა პაუზით და... ჯვარი დაიწერა 22 წლის სტუდენტ ორიანა კაპონესთან.

ამით იტალიელთა დანაკარგები არ ამოწურულა. გამოცხადდა, რომ ნაკრების შემადგენლობიდან ასევე ტრავმების გამო გამოყვანილი არიან დიეგო ფუზერი („ლაციო“) და დელ პიერო („იუვენტუსი“).

ეს, რაც შეეხება „სკუადრა აძურას“. რომშივე საქართველოს სპორტული დელეგაცია ორად გაიყო – ახალგაზრდულმა ნაკრებმა გეზი არეცოსკენ, ხოლო ეროვნულმა პერუჯასკენ აიღო.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი X ტური

ხამგურალი	(წყალტუბო)	—	გურია	(ლანჩხუთი)	1-0
კახეთი	(თელავი)	—	თსუ-შევარდენი	(თბილისი)	0-1
მარგვეთი	(ზესტაფონი)	—	სიონი	(ბოლნისი)	4-0
კოლხეთი-1913	(ფოთი)	—	დილა	(გორი)	1-1
სამტრედია		—	ტორპედო	(ქუთაისი)	3-1
მეტალურგი	(რუსთავი)	—	დინამო	(ბათუმი)	0-1
მერანი-91	(თბილისი)	—	ოდიში	(ზუგდიდი)	2-1
დინამო	(თბილისი)	—	ივერია	(ხაშური)	8-2

გათამაშების ცხრილი

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო	(თბილისი)	8	8	0	0	38-7	24
კოლხეთი-1913	(ფოთი)	10	7	1	2	27-14	22
დინამო	(ბათუმი)	8	7	0	1	27-4	21
მერანი-91	(თბილისი)	10	6	1	3	19-14	19
მარგვეთი	(ზესტაფონი)	9	6	0	3	20-10	18
გურია	(ლანჩხუთი)	10	5	1	4	12-19	16
ოდიში	(ზუგდიდი)	10	4	1	5	14-9	13
დილა	(გორი)	10	3	4	3	10-12	13
სამტრედია		10	4	0	6	12-22	12
თსუ-შევარდენი	(თბილისი)	9	3	3	3	11-11	12
სამგურალი	(წყალტუბო)	10	3	1	6	8-21	10
სიონი	(ბოლნისი)	10	3	1	6	8-11	10
მეტალურგი	(რუსთავი)	10	3	0	7	17-25	9
კახეთი	(თელავი)	10	3	0	7	4-25	9
ივერია	(ხაშური)	10	2	2	6	9-22	8
ტორპედო	(ქუთაისი)	10	2	1	7	15-25	7

ახალგაზრდულ ნაკრებს ფოცხვერია შეემატა

იტალიაში გამგზავრების წინ გავესაუბრეთ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვლადიმერ გუცაევს. აშკარად ეტყობოდა, რომ არ იყო კმაყოფილი გუნდში მოწვეული ფეხბურთელების მომზადების დონით. მწვრთნელს მაშინღა გაუნათდა სახე, როდესაც შეიტყო, რომ შეკრებაზე ჩამოვიდა დონეცკის „შახტიორიდან“ მოწვეული მიხეილ ფოცხვერია. ეტყობა, გუცაევი მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

იტალიაში ახალგაზრდული ნაკრები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: სოლოღაშვილი, ასლანიძე, კალაძე, დავითნიძე, გაგნიძე, შ. ხუჭაძე, ვერემჩუკი, გახოკიძე, კიკნაძე, ქებაძე, დ. მუჯირი, ლომიძე, ზირაქიშვილი, დემეტრაძე, ფოცხვერია, იაშვილი, აშვეთია.

მილოცვა

აჭარის ფეხბურთის ფედერაცია და ბათუმის ვეტერანი ფეხბურთელები დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ ფეხბურთში აჭარის მრავალგზის ჩემპიონის — ბათუმის „საბაჟოს“ გუნდისა და ბათუმის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს გოჩა ფურცხვანიძეს.

ასეთი წარმატება ჯერ არავის და არასდროს მოუპოვებია მსოფლიოში!

ილემ ნინო გურიელმა მართალია, ოდნავ მარცხიანად ითამაშა, მაგრამ ეს ესოდენ მძლავრ გუნდს არ დატყობია.

ნანა ალექსანდრია (გუნდის კაპიტანი): „ამ ოლიმპიადაზე ზოგი ჩემი პროგნოზი გამართლდა, ზოგი — არა. მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, რომ მაიასა და ნანას, რომელთაც თავიანთი ხანგრძლივი საჭადრაკო კარიერის მანძილზე ესოდენი ნერვიული ენერგია აქვთ დახარჯული, ბოლომდე ძალა არ ეყოფოდათ, მით უმეტეს, რომ თითქმის შეუცვლელად თამაშობდნენ. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ნანა იოსელიანს, რომელმაც ზედიზედ ითამაშა 12 პარტია! მაგრამ, შიში არ გამართლდა, თავიანთი კლასის წყალობით, როგორც მაიამ, ისე ნანამ ბრწყინვალედ ითამაშეს და გუნდის წარმატებაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს.

ვაჟა შუბლაძე (საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი): „თუ საბჭოთა კავშირის ნაკრებს არ ჩავთვლით, არც ერთ გუნდს ოლიმპიადების ისტორიაში ზედიზედ სამჯერ არ გაუმარჯვია. პოლგარების გუნდს (უნგრელებს) ორი ასეთი გამარჯვება აქვს, ასე რომ, საამაყო უდავოდ გვაქვს".

აქ უნდა დავძინოთ, რომ დამთავრდა თუ არა შეჯიბრების პირველი ნახევარი (დაახლოებით 7-8 ტურის შემდეგ), არც ერთ ცნობილ საჭადრაკო მიმომხილველს ეჭვიც არ შეპარვია, რომ ჩემპიონობას საქართველოს გუნდი მოიპოვებდა. მისი შედეგი მართლაც ბრწყინვალეა: 10 მატჩის მოგება და 4 ყაიმი. 42 პარტიაში სულ ორი მარცხი, ეს მაშინ, როცა მცირე გამონაკლისის გარდა (შვეიცარიული სისტემის თავისებურების გამო) ჩვენს ქალებს მხოლოდ უძლიერეს დიდოსტატებთან და ოსტატებთან უხდებოდათ თამაში.

საბოლოოდ საქართველოს ქალთა ნაკრებმა 30 ქულა მოაგროვა და 1,5 ქულით გაუსწრო ჩინეთისა და რუსეთის ნაკრებებს. უკეთესი დამატებითი მონაცემების გამო ვერცხლის მედლები ჩინელებს მიენიჭათ. ჩინური პრესის აზრი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ რუსმა მიმომხილველებმა თავიანთი გუნდის მიერ პირველად მოპოვებული მესამე ადგილი დიდ წარმატებად ჩათვალეს.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ითამაშა დაახლოებით ისეთივე ძალით, როგორც მანილასა და მოსკოვში, რამდენადმე უკეთესადაც კი და საბოლოოდ მერვე ადგილი დაისაკუთრა, რაც უდავო წარმატებად უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გუნდის ლიდერი ზურაბ აზმაიფარაშვილი (7 ქულა 12-დან) და მეორე დაფაზე მოთამაშე გია გიორგაძე (8,5 ქულა 12-დან). მათ განაპირობეს კიდეც გუნდის კარგი შედეგი. სულ გუნდმა 33 ქულა მოაგროვა.

ზურაბ აზმაიფარაშვილი: „ჩემს თამაშზე რა უნდა გითხრათ?! მანილასა და მოსკოვში +4 მქონდა, ახლა +2, მაგრამ ჩემი შედეგი მაინც ნორმალურად მიმაჩნია. განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ ბრწყინვალედ ითამაშა გია გიორგაძემ და მეორე დაფაზე უძლიერეს მეტოქეებთან ბრძოლაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ჩვენი საერთო შედეგი, რა თქმა უნდა, კარგია. გენადი ზაიჩიკს ერთი პატარა ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ ფინიშზე ძალები მოიკრიბა. ლაშა ჯანჯღავას სტარტზე თამაში არ გამოუვიდა, რაც პირადად ჩემთვის მოულოდნელი იყო, შემდეგ აღარ თამაშობდა, მაგრამ ჩვენს გუნდსაც და ქალებსაც ეხმარებოდა, როგორც მწვრთნელი.

ახლა კი მოვუსმინოთ ქალბატონ **ნონა გაფრინდაშვილს**, რომელიც ოლიმპიადას ესწრებოდა, როგორც საპატიო სტუმარი და ყოველნაირად ამხნევებდა თავის ახალგაზრდა კოლეგებს.

— რა თქმა უნდა, ქალებმა მძიმე ბრძოლა გადაიტანეს და ჩინებულ შედეგსაც მიაღწიეს. ვაჟების შედეგიც, უდავოდ კარგია, ისე კი, დიდად დაგვწყვიტეს გული. ისინი მთელი შეჯიბრების მანძილზე კარგად თამაშობდნენ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რამდენი მოსაგები პოზიცია ვერ გამოიყენეს, რამდენი ნაღდი ქულა დაკარგეს! სულ უკანასკნელ მომენტში აშშ-ს ნაკრებთან რომ მოეგოთ, მესამე ადგილზე გამოვიდოდნენ, მაგრამ ამ შეხვედრას, თუნდაც მინიმალური ანგარიშით, წაგების შემდეგ რამდენიმე ნაბიჯით მოუხდათ უკან დახევა.

ვაჟთა ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო და, შეიძლება ითქვას, მის საბოლოო გამარჯვებაში არავის ეპარებოდა ეჭვი. მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, თუმცა შეჯიბრებაში გვიან ჩაება, მაინც გვიჩვენა თავისი ნამდვილი ძალა. მეორე ადგილი უკრაინელებს დარჩათ, მესამე კი — აშშ-ს გუნდს, რომელიც ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული დიდოსტატებისაგან შედგება.

ერთი სიტყვით, გადაიფურცლა საჭადრაკო ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც ჭადრაკის ქართველ გულშემატკივრებს არასოდეს დაავიწყდებათ.

გივი გამრეკელი.

საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში

ფოთში კვლავ აფასებენ ტრადიციას

ამ საპორტო ქალაქს, რომელიც მიჩნეულია ჩვენში ფეხბურთის დანერგვის ერთ-ერთ პიონერად, არანაკლები საცხენოსნო ტრადიციები აქვს. მის განვითარებას ბევრად განაპირობებს ის, რომ იქ კვლავ მოქმედებს იპოდრომი და, რაც მთავარია, ქალაქის ხელმძღვანელობის დიდი ხელშეწყობა აქვს. ამის კიდევ ერთი დასტური იყო, რომ ამ გაჭირვების ჟამს, სწორედ ფოთმა ღირსეულად უმასპინძლა რესპუბლიკურ პირველობას. ასპარეზობაში მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თბილისის საცხენოსნო ბაზის, განათლების სამინისტროს მოზართა და ბავშვთა რესპუბლიკური საცხენოსნო სკოლისა და ზუგდიდის წარმომადგენლები.

ორჭიდში (ცხენის გაწვრთნა და დაბრკოლებათა გადალახვა), როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო თბილისელმა სპორტის ოსტატმა ვიქტორ გოგლიძემ (ცხენი „ტინი", სპორტდეპარტამენტის ბაზა); მეორე ადგილი წილად ხვდა განათლების სამინისტროს სკოლის აღსაზრდელს გელა ტატანაშვილს („გორიჩანი"), მესამეზეა გელა აფციაური (სპორტდეპარტამენტის ბაზა, „ქსარი"). გუნდური პირველობაც ამ ბაზის მხედრებს დარჩათ.

სხვა სახეობებში საპრიზო ადგილებს უმთავრესად სამად-სამი პრეტენდენტი ჰყავდა. კონკური „გახსნის პრიზზე" ცხენ სადახლოთი მოიგო როინ მარგიანმა (განათლების სამინისტროს სკოლა) მან უჯარიმოდ გაიარა დაბრკოლებათა ზოლი. ცხენ ორდენით მეორე ადგილზე გავიდა ვალერი შელია (ცხენოსნობის ბაზა), მესამეა ფოთელი რუსლან კვარაცხელია (ცხენი ჩელენტანო). რ. მარგიანმა იმარჯვა „საქართველოს თასის" გათამაშებაშიც. მეორე — ვ. შელია, მესამე — დავით დუნდუა იყო (ცხენი ფოცხვერი, განათლების სამინისტროს სკოლა).

ძალისმიერი ხტომა — 1. რ. მარგიანი, 2. რ. კვარაცხელია, 3. ვ. შელია. ორივე სახეობაში გუნდური პირველობა განათლების სამინისტროს სკოლამ დაისაკუთრა. მანვე საერთო გუნდურ პირველობაში აჯობა ყველას, მეორეა სპორტის დეპარტამენტის ბაზა, მესამე ადგილზე ფოთელები გავიდნენ.

„ლელოს" კორ.

დებიუტი ყოველთვის ძნელია

12 ოქტომბერს ქუთაისური ხელბურთის ისტორიაში პირველ ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრას გამართავს ქალთა გუნდი «ქუთაისი». როგორც ცნობილია, იგი ევროპულ საკლუბო ტურნირზე - თასების მფლობელთა თასის გათამაშებაშია დაშვებული. საწყის ეტაპზე ქუთაისელი გოგონები ორ მატჩს გამართავენ რუმინეთის ქალაქ ბაია მარეს ძლიერ საკლუბო გუნდთან.

როგორ ემზადება „ქუთაისი" ამ საპასუხისმგებლო თამაშებისათვის? ასეთი შეკითხვით მივმართეთ გუნდის მთავარ მწვრთნელს გურამ გურულიშვილს. გთავაზობთ მის ნაამბობს:

„სიმართლე გითხრათ, რამდენიმე თვის წინ ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ევროპულ ტურნირში მოგვიწევდა ასპარეზობა. ეს კი არა და, წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატშიც სრულიად შემთხვევით მივიღეთ მონაწილეობა. ქუთაისში ქალთა ხელბურთს დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ უკანასკნელ წლებში ცნობილი მოვლენების გამო ამ თამაშს, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებს, ყურადღება მოაკლდა და სამი წელიწადი ჩვენი გუნდი რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც კი ვერ ახერხებდა გამოსვლას. არ გაგვაჩნდა სახსრები. ისევ საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ და, კერძოდ, მისმა ვიცე პრეზიდენტმა მერაბ მეტრეველმა აღმოგვიჩინა დახმარება. სწორედ მისი შემწეობით შევძელით ეროვნულ ჩემპიონატში ჩართვა, სადაც მესამე ადგილი დავიკავეთ. ვინაიდან ქალაქის ხელისუფლებისაგან ამჟამადაც არანაირი დახმარება არა გვაქვს, ისევ ბატონ მერაბის იმედით ვართ. რუმინეთში გასამგზავრებელ ხარჯებს ფედერაცია გაიღებს, სპორტულ ფორმასაც ის გვპირდება.

მზადებას 15 აგვისტოდან შევუდექით ქუთაისის სპორტთამაშების სკოლაში (დირექტორი ც. მეგენეიშვილი). ახლა გუნდში 13 მოთამაშე ირიცხება. ყველაზე უფროსი – 23, უმცროსი – 14 წლისაა. ბუნებრივია, გოგონებს გამოცდილება, სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. სერიოზულ წარმატებებზე ფიქრი არარეალურია, მაგრამ იმის კი მჯერა, რომ გოგონები თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენენ. ყველა თავდაუზოგავად ვარჯიშობს, გუნდში საბრძოლო სულისკვეთებაა. გვინდა „ქუთაისი" სამი-ოთხი დედაქალაქელი ხელბურთელით გავაძლიეროთ. ენახოთ, ყველაფერი წინ არის.

დებიუტი ყოველთვის ძნელია. პირველი მატჩი რუმინეთშია დაგეგმილი. იქაური ხელბურთის ავტორიტეტი მსოფლიოში ცნობილი. მეტოქე მეტად ძლიერი გვყავს. შეიძლება ეს უკეთესიც იყოს. რაც ადრე გავიგებთ, რანი ვართ, მით უფრო ვიზრუნებთ მომავალზე. თუ ღმერთმა ჰქნა და საქმე შედარებით კარგად აეწყო, საპასუხო შეხვედრას თბილისში ჩავატარებთ, თუ არა და, მეორე თამაშსაც, ალბათ, იქვე სტუმრად გავმართავთ.

„ქუთაისის" შემადგენლობა სადღეისოდ ასეთია: ნონა [illegible] (დაიბადა 1973 წელს), სოფიკო ფარულავა (1980), მაია თავაძე (1974), დარეჯან ლომთაძე (1978), შორენა ლომთაძე (1979), სოფიკო სანებლიძე (1974), ეკა კერვალიშვილი (1973), ნანა გოფაძე (1973), მარიამ იამანიძე (1978), ხათუნა დიაკონიძე (1979). ნათია გეწაძე (1981), ირინა გიორგაძე (1982), ეთერ კოპალიანი (1982)."

იუზა კაციტაძე
ქ. ქუთაისი

ალპინიზმი

«მშვიდობიანი მთები»

ასე ეწოდება პროგრამას, რომელიც შედგება მრავალი ეტაპისაგან და მას სათავეში უდგას ჩვენს დედაქალაქში განთავსებული არაოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაცია – კომპანია „ვერტიკი" (მენეჯერი დენის სამათი). კომპანიის მიზანია კავკასიაში კონფლიქტების მოგვარება. სწორედ „ვერტიკმა" აიტაცა ეს იდეა, რომელიც საქართველოს სამთო გამყოლების სახელმწიფო სკოლის ხელმძღვანელისა და მთამსვლელობისა და მეკლდეურობის ასოციაციის დირექტორ დათო რაქვიაშვილისა და ჩრდილოეთ ოსეთის მთამსვლელობის ფედერაციის თავმჯდომარის ყაზბეგ ხამიცაევის მოლაპარაკების შედეგად იშვა – ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი მთამსვლელების მყინვარწვერზე ასვლის შესახებ: მათ მხარში ამოუდგა აგრეთვე ფირმა „კაუკაზუსტრეველი". სამწუხაროდ, თვით ამ იდეის ერთ-ერთმა მხარემ ვერ მოახერხა მის განხორციელებაში მონაწილეობა, აი აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი მთამსვლელები კი 3 ოქტომბერს დაბრუნდნენ „მშვიდობიანი მთების" პირველი ლაშქრობიდან. მათთან ერთად მწვერვალზე იყო მოსკოველ ჟურნალისტთა ჯგუფი.



მყინვარწვერი

ამავე დღეს „ვერტიკში" გამართულ პრესკონფერენციაზე ასვლის მონაწილეებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს ასეთი ასვლების აუცილებლობა, „მშვიდობიანი მთები" საქართველოს უნდა გასცილდეს და სხვა მასივებსაც უნდა მისწვდეს. კერძოდ, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე აზერბაიჯანის ოლიმპიური კლუბის დირექტორმა სარიდან მურსაკულოვმა ასვლის მონაწილეებს პირობა მისცა, რომ მერმისს ასეთივე ოლიმპიადა მოეწყობა აზერბაიჯანში.

„მშვიდობიანი მთების" პირველი აქცია წარმატებით შესრულდა, იმედია. მისი „ექო" მთელ პლანეტაზე გაისმის.

ხუთი რგოლის გარშემო

❖ **პრესკონფერენციაზე**, რომელიც გაიმართა 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქ ნაგანოში ნორვეგიის ლილეჰამერის (ამ ქალაქმა, გახსოვთ ალბათ, 1994 წელს თეთრ ოლიმპიადას უმასპინძლა საკმაოდ წარმატებით) მერმა აუდუნ ტრონმა გააკრიტიკა იაპონელი კოლეგები, რომლებიც, მისი აზრით, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ გარემოს დაცვის პრობლემებს. კერძოდ, მან მიუტევებელ შეცდომად მიიჩნია ნაგანოსა და ტოკიოს შორის ჩქაროსნული რკინიგზის და სუპერავტომაგისტრალის მშენებლობა. საინტერესოა, რომ აუდუნ ტრონი ნაგანოში ჩავიდა ხუთი ნორვეგიელი მისიონერის შესახვედრად, რომლებმაც მანძილი ოსლოდან ნაგანომდე (16 ათასი კილომეტრი) დაფარეს მარხილში შებმული ძაღლებით, იალქნიანი ნავითა და ველოსიპედებით. მთელ ამ მარშრუტს ნორვეგიელმა მოხალისეებმა 7 თვე მოანდომეს.

❖ **ნაგანოს** ოლიმპიადის უსაფრთხოების სამსახურის შეფმა განაცხადა, რომ მას ეყოლება გაცილებით უფრო ცოტა ქვეშევრდომი, ვიდრე მის ამერიკელ კოლეგას ჰყავდა ატლანტაში, მაგრამ ზომები გაცილებით უფრო ეფექტური იქნება: საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური დირექტორის მაკოტო კობიაშის განცხადებით, შეუძლებელია იაპონიაში მოხდეს ის, რაც ატლანტაში მოხდა. დაფიქსირდა მომავალი ოლიმპიადის რეკორდიც: **ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვით ორგანიზატორებს შემოუვიდათ სალაროში 512 მილიონი დოლარი, რაც წინა ოლიმპიადასთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტია.**

❖ **საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელთა კომისია, რომელიც ინსპექტირებას უწევს 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ ქალაქებს, საფრანგეთის ლილიდან ესპანეთის სევილიაში გაემგზავრება. თავისი მოგზაურობა კი სოკის ემისრებმა სანკტ-პეტერბურგიდან დაიწყეს. კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს მონრეალის 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფარიკაობაში თომას ბახი, კმაყოფილია სანკტ-პეტერბურგისა და ლილის ინსპექტირებით.

❖ **ბალკანეთის** მრავალწლიან ომში ბოსნია-ჰერცოგოვინის კანონიერი ინტერესების მხარდაჭერისთვისა და სოლიდარობისათვის სპეციალური ჯილდოები გადაეცათ სოკის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს პრიმო ნებიოლოს და ცნობილ იტალიელ სამთომოთხილამურეს ალბერტო ტომბას. საზეიმო ცერემონიალი შედგება ოქტომბრის პირველ ნახევარში ფეხბურთელთა ერთ-ერთი საერთაშორისო მატჩის დროს.

❖ **ავსტრალიის** აბორიგენებმა წინადადებით მიმართეს მსოფლიოს ფერადკანიან მოსახლეობას ბოიკოტი გამოუცხადონ სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებს. ამასთან დაკავშირებით სოკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბელგიელმა ჟაკ როგემ, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა ავსტრალიაში, განაცხადა, რომ ყველგან მოინახება ძალები, რომლებიც თამაშის ჩატარების წინააღმდეგი არიანო. როგეს ავსტრალიელ აბორიგენთა მოწოდება ოდნავაც არ აშინებს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ მას ცოტა მომხრე ეყოლება.

❖ **შვეციის** პარლამენტის წევრმა, სამთავრობო კოალიციის წარმომადგენელმა ცენტრისტული პარტიიდან, რიგმორ ალსტედმა ოფიციალური წერილით მიმართა ხელისუფლებას არ დაუჭიროს მხარი სტოკჰოლმის კანდიდატურას. 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე და მოითხოვოს, რომ ეს უფლება ათენს გადაეცეს. ეს პოლიტიკური მოღვაწე საერთოდ იმის მომხრეა, რომ ამიერიდან ოლიმპიადები მხოლოდ საბერძნეთის დედაქალაქში გაიმართოს.

❖ **გაისად,** 13-25 ივნისს იტალიის ქალაქ ბარიში გაიმართება ხმელთაშუა ზღვის თამაშები სპორტის 27 სახეობაში, რომელშიც იასპარეზებს რეგიონის 21 ქვეყანა, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ანტონიო მატარეზამ თხოვნით მიმართა აღნიშნული რეგიონის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს გამოგზავნონ თამაშებზე უძლიერესი სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდები. უკვე გამოცხადდა, რომ თამაშების მსვლელობას ათასამდე ჟურნალისტი გააშუქებს.

❖ **ფრანგულენოვანი** ქვეყნების სპორტული თამაშები პირველად 1989 წელს მოეწყო მაროკოში. მერე მისი ორგანიზაცია 1994 წელს საფრანგეთმა იკისრა. მოახლოვდა მესამე თამაშების თარიღი — 1997 წელი. ამჯერად ფრანგულენოვან სპორტსმენებს უმასპინძლებს მადაგასკარი. და, აი, უკვე ცნობილი გახდა, მეოთხე თამაშების ორგანიზატორი ქვეყნის ვინაობაც: 2001 წელს ამ კომპლექსურ ღონისძიებას ჩაატარებს კანადა.

პირველი ნახევარფინალისტი

გაიმართა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი აზიის ზონის ჯგუფში. ერთმანეთს შეხვდნენ კატარი და ინდოეთი. გაიმარჯვეს კატარის ფეხბურთელებმა — 6-0.

სატურნირო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	მ.	ბ.	ქ.
კატარი	3	3	0	0	14-0	9
შრი-ლანკა	3	1	1	1	4-4	4
ინდოეთი	3	1	1	1	13-7	4
ფილიპინები	3	0	0	3	0-10	0

კატარი აზიის პირველი ქვეყანაა, რომელმაც რეგიონალური ჯგუფის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, ამ ეტაპის დანარჩენი 9 მონაწილის ვინაობა გაირკვევა 1997 წელს.

თბილისის „დინამოს" მეტოქის ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ მოხვდა ეროვნულ ნაკრებში

პორტუგალიის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა არტურ ჟორჟემ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ჩასატარებლად უკრაინისა და ალბანეთის ნაკრებების წინააღმდეგ 21 ფეხბურთელს უხმო:

მეკარეები: ვიტორ ბაია, რუი კორეა.

მცველები: ჟორჟე კოშტა, პაულო ნიუ სანტუში, ჰელდერ კრისტოვაო, კარლუშ სეკრეტარიუ, ფერნანდუ კოუტუ, რუი ჟორჟე, პაულუ მადეირა, ფერნანდუ ნელსონ ალვეში.

ნახევარმცველები: სერჟიო კონსეისაო, ლუიშ ფიგუ, რუი კოშტა, ოსვანუ კრუზი, ჟოზე ტაირა პერეირა, ნუნუ როჩა, პაულუ ბენტუ.

თავდამსხმელები: რიკარდო სა პინტუ, ანტონიო ფოლია, პაულუ ალვეში, ჟოაო პინტუ.

როგორც ხედავთ, არტურ ჟორჟემ პორტუს „ბოავიშტას" არც ერთ ფეხბურთელს არ უხმო. შეკითხვაზე თუ რაა ამის მიზეზი, მწვრთნელმა მოკლედ მოჭრა: „წინა მატჩში სომხეთის გუნდთან ვერ ივარგეს".

ებრაელები გაიფიცნენ

როგორც იცით, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის მეხუთე შესარჩევ ჯგუფში სამ-სამი ქულით ლიდერობენ რუსეთისა და ისრაელის ეროვნული ნაკრები გუნდები. სწორედ ისინი ხვდებიან ერთმანეთს 9 ოქტომბერს თელ-ავივში. მაგრამ, შესაძლოა, ეს მატჩი არ შედგეს, ვინაიდან ებრაელი ფეხბურთელები გაიფიცნენ: მათ კატეგორიულად მოთხოვეს ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას გაუზარდონ პრემიალური თანხა. რუსებთან მოგების შემთხვევაში ისრაელელი მოთამაშეები ითხოვენ 6 ათას ამერიკულ დოლარს თითოეული. ფედერაცია კი თანახმაა გადაიხადოს მხოლოდ ორ-ორი ათასი.

ამავე შესარჩევ ჯგუფში ბულგარეთის ეროვნული ნაკრები სტუმრად ეთამაშება ლუქსემბურგს. როგორც გამოცხადდა, ბულგარელთა გუნდში კვლავ არ არის ხრისტო სტოიჩკოვი — გარდა იმისა, რომ ცნობილ ფეხბურთელს კონფლიქტი აქვს ბულგარეთის საფეხბურთო კავშირთან, მას ფეხის ტრავმაც აწუხებს.

პრეზიდენტები სპორტში

„ჩარლი" დემპსი — ოკეანიის „მფრინავი შოტლანდიელი"

1982 წლის 10 იანვარი: სინგაპურის ეროვნული სტადიონის საპატიო სტუმრების ლოჟაში ზის ქვიშისფერთმიანი შოტლანდიელი განუყრელ უსათვალოდ. სახე ხელებში ჩაუფლია და ორივე ლოყაზე ცრემლი ჩამოსდის, რასაც 80 ათასი მაყურებელი სრულებით ვერ ამჩნევს. მაგრამ ჩარლზ დემპსი ის კაცი არ არის, რომელიც ჩვეულებრივ ემოციებსაა აყოლილი, მას სულ სხვა რამ ადარდებს. ამ შოტლანდიელის საყვარელი „all whites" („მთლიანად თეთრები" — ასე უწოდებენ ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებს), ხომ ეს-ესაა ავიდა თავისი ქვეყნისათვის აქამდე დაუძლეველ საფეხბურთო მწვერვალზე: მათ ჩინეთის ეროვნული ნაკრები დაამარცხეს — 2-1 და მოიპოვეს ბოლო, 24-ე საგზური ესპანეთის მე-12 მსოფლიო ჩემპიონატზე და ეს შეძლო 3-მილიონიანმა ქვეყანამ!

„ჩარლი" კი პირველად, 30 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც დატოვა მშობლიური შოტლანდია და სამოთხის საძებნელად გაეშურა, მშვიდობისმოყვარე დედამიწის სამხრეთში, უძლური იყო ხმა ამოეღო. მან ყრუ-მუნჯივით მოუხადა ბოდიში ჟურნალისტებს, ლოჟაში მყოფ საპატიო სტუმრებს და გაეშურა სასტუმროსკენ, სადაც ახალი ზელანდიის გუნდი იყო დაბინავებული. მისთვის დიდებულ იმ საღამოს, არც 500 ამერიკული დოლარი დაინანა საკუთარი ჯიბიდან, რათა საუკეთესო ლუდით გამსპინძლებოდა ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს. „მე ვიჯექი სიბნელეში, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ დიდი ხნით. იქ არაფერი იყო სიცარიელის გარდა, მაგრამ ჩვენ ხომ ბევრი ვიწვალეთ, რომ ამისათვის მიგვეღწია" — ამბობდა დემპსი. თუმცა ბევრისათვის, რომლებმაც ფიფას რესპექტაბელური კორიდორები გაიარეს, ასეთი გამარჯვებები ბანალური უნდა ყოფილიყო, თუმცა ადამიანისთვის, რომელიც ნიადაგ ფიქრობდა და ოცნებობდა ამაზე, ეს იყო, როგორც დემპსი ამბობს, „ახალი ზელანდიის მსოფლიო ჩემპიონატი".

ოკეანიის ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ ერთხელ ეღირსა ასეთ მიღწევას, როცა ავსტრალია 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდა გერმანიაში, მაგრამ ოკეანიის ფეხბურთის ამ წარმატებასაც არ შეეძლო გატოლებოდა იმას, რასაც ახალი ზელანდიის თავქუდმოგლეჯილი ლტოლვა ერქვა ესპანეთისაკენ. იმ ქვეყნისა, სადაც რაგბის გარდა, დღესაც არაფრის გაგონება არ უნდათ. ჩარლზ დემპსიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაჰყვებოდა გუნდს. „ჩარლი" კი მას მეგობრებმა შეარქვეს თავისი კომიკური გამომეტყველების, მიმზიდველი, სათნო ღიმილისა და იუმორის სავსე ნიჭის ზომიერად გამოვლინების გამო.

პირინეის ნახევარკუნძულზე ჩასვლამდე ახალი ზელანდიის გუნდმა 160 ათასი კილომეტრი გაიარა, ჩაატარა 30 შეხვედრა, ხოლო ფიჯის გუნდის დამარცხება 13-0 დღესაც რეკორდული მაჩვენებელია მსოფლიო ჩემპიონატებისათვის. უდემპსოდ კი ეს ყველაფერი ნამდვილად არ მოხდებოდა. თუმცა, სინგაპურის მერე „all whites" — მან სრული ფიასკო განიცადა მალაგაში (ესპანეთი) — დამარცხდა რა შოტლანდიასთან 2-5 და პრაქტიკული შანსი დაკარგა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

მაგრამ თვით ჩარლზ დემპსის ისტორია არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე ოკეანიის საფეხბურთო ბატალიები. მისი, როგორც ფეხბურთელის კარიერა, თავბრუდამხვევი ნამდვილად არ ყოფილა — ის გლაზგოსთან ახლომდებარე ერთ-ერთი პროვინციის გუნდში თამაშობდა, მეორე მსოფლიო ომის დროს კი ბრიტანეთის ფლოტის ოფიცერი გახლდათ, თუმცა მალე მიხვდა, რომ მეზღვაურობა მისი სტიქია არ იყო. 1952 წელს ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდი, დასავლეთ აფრიკის ნაკრები და ინგლისის საფეხბურთო კლუბი „გილინგჰემი" ახალი ზელანდიის ნაპირებს მიადგნენ. ამ დელეგაციას კი მეთაურობდა „ჩარლი", რომელსაც თან მეუღლესთან ერთად ორი შვილი ახლდა და ეს იყო პირველი სიგნალი იმ ორი „სასიყვარულო" რომანისა, რომელიც მან ახალ ზელანდიასთან და იქაურ ფეხბურთთან გააბა.

საერთოდ, ოკეანიის ფეხბურთის კონფედერაციის ფორმირების საკითხი 1950 წელს განიხილეს, მას შემდეგ, როცა აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ უარი განუცხადა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას თავის რიგებში მიღებაზე.

„სერ სტენლი როუზმა (იმდროინდელი ფიფა-ს პრეზიდენტი. რედ.) გადაწყვიტა ყოფილიყო მეექვსე კონფედერაციაც, მაგრამ ეს არ მოხდა 1966 წლამდე. ამ წელს კი ოკეანია პირველად ოფიციალურად სცნო ფიფამ. მაგრამ არაოფიციალურად ჩვენ უკვე გვქონდა შექმნილი კონფედერაცია 1964 წლიდან, თუმცა წარმატებებს არც თუ მალე მივაღწიეთ. თავიდან ხომ მხოლოდ ოთხნი ვიყავით — ავსტრალია, ახალი ზელანდია, პაპუა — ახალი გვინეა და ფიჯი, მაგრამ 2000 წლისათვის ალბათ უკვე 14 წევრი გვეყოლება. (დღეს ოკეანიის ფეხბურთის კონფედერაციაში 10 ქვეყანაა გაერთიანებული)".

ჩარლზ დემპსი

„ავსტრალიამ თავისი განსაკუთრებული როლი შეასრულა ოკეანიაში ფეხბურთის განვითარებისათვის — ორჯერ უმასპინძლა 20 წლამდე ასაკის მსოფლიო ჩემპიონატებს 1981 და 1993 წლებში. ახალი ზელანდია კი 17 წლამდე ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს 1999 წელს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი იქნება არა მარტო ახალი ზელანდიის ფეხბურთისათვის, არამედ მთლიანად ამ ქვეყნისათვის".

„ოკეანია დღეს თავის წილხვედრ ფეხბურთს თამაშობს და თანდათან უფრო მეტად იმსახურებს, რომ უფრო აქტიურად ჩაება მსოფლიო ფეხბურთის ფერხულში. თუმცა, არც ისე ადვილია ფეხბურთში მოღვაწეობა რაგბის ქვეყანაში, ეს თავისებური ბრძოლა გახლავთ და იმ კაცს ვგევარ, ვინც ფიფას გარდამავალი დროშით დაიარება იმ ადგილებში, სადაც სხვებს ჯერ ფეხიც არ დაუდგამთ" — ამბობს დემპსი და მის გაბადრულ სახეს ოდნავ სენტიმენტალური იერი დაჰკრავს.

„ჩარლი" ხშირი სტუმარი იყო ოკეანიის ქვეყნების სამთავრობო წრეებში და მის მიერ გაწეული მუშაობისა და რეკომენდაციის შედეგად, ისეთმა პატარა ქვეყნებმა, როგორებიცაა ვანატუ, სოლომონები, დასავლეთ სამოა, ტონგა, ტაჰიტი (ეს ქვეყნები პატარ-პატარა კუნძულებზე მდებარეობს), შეძლეს მწვანე შუქი მიეღოთ ფიფასაგან.

როგორც პრეზიდენტი, ფიფას ყველაზე უფრო შორეული კონფედერაციისა, დემპსი ძალაუნებურად გახდა ყველაზე უფრო მოგზაურობისმოყვარული — მან ხომ ბოლო სამი წლის განმავლობაში 1 227 000 კილომეტრი გადალახა. მიუხედავად ამისა, 74 წლის ჩარლზ დემპსი, როგორც ამას მისი მეუღლე, ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი ადასტურებენ, იდეალური ოჯახის კაცი გახლავთ. ფეხბურთისა და ოჯახის გარდა, მას კიდევ ერთი გატაცება აქვს — გოლფი, რომლის შესახებაც ამბობს:

„გოლფი საშუალებას მაძლევს განვიტვირთო, ეს არის დიდი შვება და დამცავი მექანიზმი ჩემი ჯანმრთელობისათვის და კვირაში ოთხ ტაიმს ვთამაშობ ხოლმე".

რაგბზე გაგიჟებულ ქვეყანაში „ჩარლი" დღესაც საკმაოდ განმარტოებულად მოჩანს თავისი პრობლემებითა და ფეხბურთზე ზრუნვით, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როგორც იმ დიდებულ საღამოს, სინგაპურში 14 წლის წინათ რომ იყო, მისი ძალისხმევა და შორსმჭვრეტელობა კვლავინდებურად გამოიღებს ნაყოფს.

მოამზადა
დათო თავართქილაძემ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები



დიეგო მარადონა

☒ **ყალმუხეთის** პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა 22 ოქტომბრისთვის მიიწვია ელისტაში დიეგო მარადონა. პრეზიდენტს განზრახული აქვს დაასწროს არგენტინელი ვარსკვლავი „ურალან"– „ფაკელის" მატჩს. მარადონა მხოლოდ ერთხელ იყო რუსეთში – 1990 წელს. მაშინ მისი კლუბი „ნაპოლი" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პროგრამით მოსკოვის „სპარტაკს" შეხვდა.

☒ **პოპულარულმა** როკ-ვარსკვლავმა და კომპოზიტორმა ელტონ ჯონმა კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს მესამე დივიზიონის კლუბის „უოტფორდის" (ინგლისი) ყიდვას აპირებს. 22 წლის წინ იგი მართლაც იყო ჯერ ამ გუნდის დირექტორატის წევრი, მერე კი მისი მფლობელი, მაგრამ 1990 წელს მიჰყიდა იგი მსხვილ ბიზნესმენს ჯეკ პეტჩს და ამის შემდეგ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ინგლისის საკლუბო ფეხბურთთან.

☒ **ურუგვაის** ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა თანამდებობიდან გაათავისუფლა აღნიშნული ორგანიზაციის პრეზიდენტი კარლოს მარესკა და ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ექტორ ნუნიესი. მიზეზი გახლავთ, ჯერ ერთი, დაუმთავრებელი კრიზისი ურუგვაის საკლუბო ფეხბურთში და ეროვნული ნაკრების უაღრესად წარუმატებელი სტარტი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. ურუგვაელები სამართლიანად არიან უკმაყოფილონი თავიანთი გუნდის თამაშით, რომელმაც მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო ვენესუელასთან (2-0), ორი წააგო კოლუმბიასთან (1-3) და პარაგვაისთან (0-2).

☒ **არგენტინის** რეგიონალური ლიგის ბოლო ტურის ერთ მატჩში უბედური შემთხვევა მოხდა. მეკარე ხორხე ხორმეჩემ უხერხულად მიიღო მეტოქის მიერ უძლიერესად დარტყმული ბურთი, რომელიც მოხვდა მას მუცლის არეში. 26 წლის ხორმეჩემ გონება დაკარგა და ჰოსპიტალში მისვლამდე, სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა.

☒ **გადადგა** ამერიკული კლუბის „ნიუ-ინგლენდ რევოლუშნის" მწვრთნელი ფრენკ სტეპლტონი, ვინაიდან მისმა გუნდმა ვერ შესძლო პლეი-ოფის სერიაში გასვლა. შეგახსენებთ, რომ სტეპლტონი დიდი ხნის მანძილზე ირლანდიის ნაკრების წამყვანი ფორვარდი იყო და წარმატებით გამოდიოდა „არსენალში", „მანჩესტერ იუნაიტედში", „აიაქსსა" და „პარმში".

☒ **პორტუგალიელი** პაულო სოუზა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ იყიდა დორტმუნდის „ბორუსიამ" იტალიის „იუვენტუსისაგან", ბენდესლიგის ერთ-ერთ მატჩში მძიმედ დაშავდა , ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ როგორც ექიმები ამბობენ, რეაბილიტაციის პროცესს, სულ მცირე, ნახევარი წელი დასჭირდება.



პაულო სოუზა

☒ **მოეწყო** მინიფეხბურთელთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ნაწილის კენჭისყრა, რომელშიც ასე განაწილდნენ გუნდები. A ჯგუფი – უკრაინა, ესპანეთი, ავსტრალია და აფრიკის ერთი რომელიმე გუნდი; B ჯგუფი – არგენტინა, ჰოლანდია, რუსეთი და ჩინეთი; C ჯგუფი – იტალია, ურუგვაი, აშშ და მალაიზია; D ჯგუფი – ირანი. კუბა, ბელგია და მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი – ბრაზილია.

UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა — ყველაზე პოპულარული

ევროპულ საფეხბურთო ტურნირებს შორის ყველაზე უფრო პრესტიჟული და პოპულარული — ჩემპიონთა თასის გათამაშება 1992 წლიდან მოყოლებული, ჩემპიონთა ლიგად გარდაიქმნა. გაისიდან მასში საქართველოს ჩემპიონიც მიიღებს მონაწილეობას.

აქამდე ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები ასეთი შედეგებით დასრულდა:

1992, ლონდონი: **„ბარსელონა" — გენუის „სამპდორია" 1-0 (0.0, 0-0), გოლი 112-ე წუთზე გაიტანა კუმანმა.**

1993, მიუნხენი: **მარსელის „ოლიმპიკი" — „მილანი" 1-0 (1-0) — გოლი (44 წ)**

1994, ათენი: **„მილანი" — „ბარსელონა" 4-0 (2-0) გოლები — მასარო (22,45), სავიჩევიჩი (47), დესაი (58).**

1995, ვენა: **ამსტერდამის „აიაქსი" — „მილანი" 1-0 (0-0). გოლი —კლუივერტი (84).**

1996, რომი: **ტურინის „იუვენტუსი" — ამსტერდამის „აიაქსი" 1-1 (1-1, 0-0), გოლები — რავანელი (11), ლიტმანენი (41), პენალტები — 4-2.**

გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის 1996-97 წლების გათამაშებაში მონაწილე გუნდების მოკლე სადარბაზო ბარათებს.

„A" ჯგუფი
ამსტერდამის „აიაქსი" (ჰოლანდია)

დაარსდა 1900 წელს. თამაშობს თეთრ-წითელი მაისურებით. ჰოლანდიის 26-გზის ჩემპიონი, ქვეყნის თასის 12-გზის მფლობელი. ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი – 1971, 1972, 1973, 1995. თასების მფლობელთა თასის მფლობელი – 1987 წ. უეფას თასის მფლობელი – 1992. სუპერთასი მოიგო სამჯერ – 1972, 1973 და 1995 წლებში.

უკანასკნელ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა და გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

საორიენტაციო შემადგენლობა: ვან დერ საარი – მარციო სანტოსი (ველდმანი), ბლინდი, ფ. დე ბური, ბოგარდე – რ. დე ბური, ლიტმანენი, რ. ვიჩხე – ბაბანგიდა (მუსამპა), კლუივერტი, ოვერმარსი.

მწვრთნელი ლუის ვან გაალი

„ოსერი" (საფრანგეთი)

დაარსდა 1905 წელს. თამაშობს თეთრი მაისურებით. 1996 წელს პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი, საფრანგეთის თასის ორგზის მფლობელი. ევროპულ თასებზე აქამდე მონაწილეობა არ მიუღია.

უკანასკნელ სეზონში დიდი წარმატებები ჰქონდა: გახდა ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

საორიენტაციო შემადგენლობა: შარბონიე – გომა, ქელიჩი, სილვესტრი, რამარივონი (ვესტი) – ენნა, ლამუში, საიბი, მარლე (სიბირსკი) – ლალაჩიდი, დიომედი.

მწვრთნელი გი რუ

„გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია)

დაარსდა 1873 წელს. თამაშობს ცისფერ – თეთრი მაისურებით. შოტლანდიის 46-გზის ჩემპიონი, თასის 27-გზის მფლობელი. ყველაზე დიდი მიღწევა ევროპულ დონეზე – 1972 წელს გაიმარჯვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე.

უკანასკნელ სეზონში შოტლანდიის ჩემპიონი გახდა, დაეუფლა შოტლანდიის თასს, მონაწილეობდა ჩემპიონთა ლიგაში.

საორიენტაციო შემადგენლობა: გორამი – კლელენდი, გაფი, პეტრიჩი, ბიერკლენდი – მაკაგალი, გასქოინი (მაკინესი), ალბერტცი (ფერგიუსონი) – ლიერი (ვან ფოსენი), მაკკოისტი, ბ. ლაუდრუპი. მწვრთნელი უოლტერ სმითი.

ციურიხის „გრასჰოპერსი" (შვეიცარია)

დაარსდა 1886 წელს. თამაშობს ლურჯ-თეთრი მაისურებით. შვეიცარიის 24-გზის ჩემპიონი, თასის 18-გზის მფლობელი. დიდი წარმატებები ევროპულ სარბიელზე არასოდეს ჰქონია. ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება 1987 წელს უეფას თასის ნახევარფინალში გასვლა.

უკანასკნელ სეზონში ქვეყნის ჩემპიონი გახდა, მონაწილეობდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში.

საორიენტაციო შემადგენლობა: ზიბერბეჰლერი – გამპერლე, გრენი, სმილიანიჩი, ტუელერი – მანინი, რასა, ესპოზიტო, მ. იაკინი, ფოგელი, გომისეტი (ლომბარდო), –თურქილმაზი, მოლდოვანი.

მწვრთნელი კრისტიან გროსი.

„B" ჯგუფი
დორტმუნდის „ბორუსია" (გერმანია)

სრული სახელია „ბოლდმპილ-ფერაინ 09 ბორუსია დორტმუნ". დაარსდა 1903 წელს. „ბორუსია" ლათინურ ენაზე ნიშნავს „პრუსიას". თამაშობს ყვითელი მაისურებით. გერმანიის ხუთგზის ჩემპიონია – 1956, 1957,1963, 1995, 1996 წლებში, თასის ორგზის მფლობელი – 1965 და 1989 წლებში, გერმანიის სუპერთასის ორგზის მფლობელი – 1989 და 1996 წლებში. 1966 წელს გაიმარჯვა ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

საორიენტაციო შემადგენლობა: კლოსი – კოლერი, ზამერი, სეზარი – როიტერი, პაულო სოუზა, მორკი (ფრომნლი), ჰაინრიხი, რიკენი, მიოლერი – როდლე, შაპიუზა, ჰერლიხი.

მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი.

მადრიდის „ატლეტიკო" (ესპანეთი)

დაარსდა 1903 წელს. თეთრ-წითელი მაისურები. ესპანეთის ცხრაგზის ჩემპიონი – 1940, 1941, 1950, 1951, 1956, 1970, 1973, 1977, 1996 წლებში. ქვეყნის თასის ცხრაგზის მფლობელი, 1985 წელს დაეუფლა ესპანეთის სუპერთასს, 1987 წელს – ესპანეთის ლიგის თასს, 1962 წელს – ევროპის თასების მფლობელთა თასს, 1975 წელს – საკონტინენტთაშორისო თასს.

საორიენტაციო შემადგენლობა: მოლინა – პელი, სანტი, სოლოსაბალი, ტონი – კამინერო, პანტიჩი, სიმეონე, ბეიბლი (ვისკაინო) – კიკო (ბიაჯინი), ესნაიდერი.

მწვრთნელი რადომირ ანტიჩი.

ბუქარესტის „სტიაუა" (რუმინეთი)

დაარსდა 1947 წელს, წითელ-ცისფერი მაისურები. რუმინეთის 18-გზის ჩემპიონი, თასის 18-გზის მფლობელი. ევროპის ჩემპიონთა თასის 1986 წლის მფლობელი. ამავე წელს გაიმარჯვა ევროპის სუპერთასის გათამაშებაში.

საორიენტაციო შემადგენლობა: ტერასიმი – ჩიკი, პროდანი, ბაციუ, ფილიპესკუ – სერბანი, მილიტარუ, ბუკერი, კალსინი – ლეკეტუში, ილიე (ჩიოჩოუ).

მწვრთნელი დუმიტრუ დუმიტრიუ.

ლოძის „ვიძევი" (პოლონეთი)

სრული სახელწოდებაა „რაბოტნიჩე ტოვარ) იმსტვო სპორტოვე ვიძევ". დაარსდა 1910 წელს ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი და თასის ორგზის მფლობელი. ევროპულ დონეზე რაიმე წარმატება აქამდე არა ჰქონია. შარშან ითამაშა ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ შესარჩევ ეტაპზე დამარცხდა კოპენჰაგენის „ბრონდბიუსთან" (1-2, 2-3).

საორიენტაციო შემადგენლობა: შჩენსნი – ვოიტალა, ლაპინსკი, მიხალჩუკი, შიმკოვიაკი (ბახორი) – ციტკო, მიხალსკი, სედაჩკი (შარპაკი), ჩერვეცი – მაიაკი, დემბინსკი.

მწვრთნელი ფრანციშეკ ქმუდა.

„C" ჯგუფი
სტამბოლის „ფენერბახჩე" (თურქეთი)

დაარსდა 1907 წელს, წითელი მაისურები, თურქეთის 13-გზის ჩემპიონი, თასის 4-გზის მფლობელი, ევროპულ ასპარეზზე რაიმე წარმატება არა ჰქონია.

უკანასკნელი სეზონის წარმატება – ქვეყნის ჩემპიონობა.

საორიენტაციო შემადგენლობა: რუშტუ – ილკერი, ოკეჩუკვუ, პოგი, ჰალილ იარაჰიმ ბიულენტი, ქემალეღინი, ოკოჩა ტაიფუნი – კოსტადინოვი (ტარიკი), ბოლიჩი (ტუნჯაი).

მწვრთნელი სებასტიანო ლაზარონი (ალბათ, იცანით ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში).

ტურინის „იუვენტუსი"

დაარსდა 1897 წელს. თეთრ-შავი მაისურები, იტალიის 23-გზის ჩემპიონი.

ქვეყნის თასის 9-გზის მფლობელი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი (1985, 1996), თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1984), უეფას თასის მფლობელი (1977, 1990, 1993), ევროპის სუპერთასის მფლობელი (1984).

წარმატებები უკანასკნელ სეზონში – იტალიის ვიცე-ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებული.

საორიენტაციო შემადგენლობა: პერუცი – ტორიჩელი, ფერარა, მონტერო, პესოტოკონტე, დეშამპი, ზიდანი – დელ პიერო, ვიერო ბოკშიჩი.

მწვრთნელი მარჩელო ლიპი.

„მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი)

დაარსდა 1878 წელს, წითელ-თეთრი მაისურები,. ინგლისის 10-გზის ჩემპიონი, ინგლისის თასის 9-გზის მფლობელი. ყველაზე დიდი წარმატებები ევროპულ სარბიელზე – ჩემპიონთა თასის მფლობელი 1968 წელს, თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული 1991 წელს, ევროპის სუპერთასის მფლობელი 1991 წელს.

უკანასკნელი სეზონის მიღწევები: ქვეყნის ჩემპიონობა და თასის მოპოვება.

საორიენტაციო შემადგენლობა: შმეიხელი – გ ნევილი, ირვინი, პალისტერი, მაი (ფ. ნევილი) – პობორსკი, ბეკჰემი, კინი (ბატი), გიგზი – კანტონა (კოული), კრუიფი (სოლსკიაერი).

მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი.

ვენის „რაპიდი" (ავსტრია)

დაარსდა 1899 წელს, მწვანე – თეთრი მაისურები, ავსტრიის 30-გზის ჩემპიონი, ეროვნული თასის 14-გზის მფლობელი, ევროპულ სარბიელზე ყველაზე დიდი მიღწევა – თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალისტი 1985 და 1996 წლებში.

უკანასკნელი სეზონის მიღწევები: ქვეყნის ჩემპიონი, თასების მფლობელთა თასის ფინალისტი.

საორიენტაციო შემადგენლობა: კონსელი – ცინგლერი, ივანოვი, შიოტელი, ლესიაკი – პროსენიჩკა (პენქსა), პერაფი (მანდრეკო), შტიოგერი, კიუბაუერი (ივანოვიჩი) – ვაგნერი, შტუმფი.

მწვრთნელი ერნსტ დოკუპილი.

„D" ჯგუფი
„იფკ გეტებორგი" (შვეცია)

დაარსდა 1904 წელს, თეთრ-ცისფერი მაისურები, ქვეყნის 16-გზის ჩემპიონი, თასის 4-გზის მფლობელი, ყველაზე დიდი მიღწევა ევროპულ დონეზე – უეფას თასზე გამარჯვება 1982 და 1987 წლებში.

უკანასკნელი წლის მიღწევა: გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მონაწილეობდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში.

საორიენტაციო შემადგენლობა: რაველი – მ. ნილსონი, ლუკიჩი, ოლსონი, მ. იოჰანსონი (ლანდბერგი) – მ. ალექსანდერსონი, ლინდკვისტი, ერლინგმარკი (მილდი), ბლომკვისტი – ა. ანდერსონი, პეტერსონი.

მწვრთნელი მატს იინგბლადი.

„აკ მილანი" (იტალია)

დაარსდა 1899 წელს. წითელ-შავი მაისურები, იტალიის 15-გზის ჩემპიონი, ქვეყნის თასის 4-გზის მფლობელი, ევროპის ჩემპიონთა თასის 5-გზის მფლობელი (1963, 1969, 1989, 1990, 1994), თასების მფლობელთა თასის ორგზის გამარჯვებული (1968, 1973), ევროპის სუპერთასის სამგზის მფლობელი. (1989, 1990, 1994).

წლევანდელი შედეგები: ქვეყნის ჩემპიონი, უეფას თასის მეოთხედფინალი.

საორიენტაციო შემადგენლობა: როსი – პანუჩი (რაიციგერი), კოსტაკურტა, ბარეზი (ვერხოვოლდი), მალდინი – სავიჩევიჩი, დესაი, ალბერტინი, ბობანი (დავიდსი) – ვეა, რ. ბაჯო. სიმონე.

მწვრთნელი ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი.

„პორტუ" (პორტუგალია)

დაარსდა 1893 წელს, თეთრ-ცისფერი მაისურები. ქვეყნის 15-გზის ჩემპიონი, თასის 12-გზის მფლობელი, ძირითადი მიღწევები ევროპულ დონეზე: ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1987), ევროპის სუპერთასის მფლობელი (1987).

უკანასკნელი სეზონის შედეგები: ქვეყნის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის მონაწილე.

საორიენტაციო შემადგენლობა: ვოზნიაკი – ალოიზიუ (დრულოვიჩი), ლულუ, მენდეში, სერჟიო კონსესაო – პაულინიო, სანტუში, ედმილსონი, ჟორჟე კოსტა, ბაროზუ – არტური (რუი ბარეში), დომინგოში (ქარდელი).

მწვრთნელი ლუის ოლივეირა.

ტრონჰაიმის „რუსენბორგი" (ნორვეგია)

დაარსდა 1917 წელს, შავ-თეთრი მაისურები, ქვეყნის 10-გზის ჩემპიონი, თასის 7-გზის მფლობელი, ევროპულ ასპარეზზე რაიმე წარმატება არა ჰქონია.

უკანასნელი სეზონის შედეგები: ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგის მონაწილე.

საორიენტაციო შემადგენლობა: იამტფალი – ლიოკენი, სტენსოსი, ბრაგსტადი (ჰეილდე), ჰოფტიუნი – სტრანდი, სკაბელსრუდი, სოლტვედტი – იაკობსენი, ივერსენი, ბრატბაკი.

მწვრთნელი ნილს არნე ეგენი.

მოამზადა
გივი თორელმა

ბესკოვი: რუსულ ფეხბურთს „სარდლები" აკლია!

რუსული ფეხბურთის „მეტრად" წოდებულმა კონსტანტინ ბესკოვმა, რომელმაც 75 წლის შესრულებასთან დაკავშირებით თავი დაანება მწვრთნელობას, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ილაპარაკა იმ მძიმე მარცხის შესახებ, რომელსაც ქვეყნის გუნდები განიცდიან ევროპულ ტურნირებში.

– ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ტაქტიკური ოსტატობის სფეროში ჩამორჩით, გვაკლია საფეხბურთო სიბრძნე, საფეხბურთო კონდიციები და ტექნიკის ნაკლოვანება არც ისე ჩანს, აი, ტაქტიკური შეცდომები კი ძლიერ თვალსაჩინოა. „ალანია" უკვე მერამდენედ დამარცხდა დიდი ანგარიშით, მოსკოვის „დინამომ" „რომასთან" 6 გოლი გაუშვა. ფეხბურთელები, როცა აგებენ, უკანმოუხედავად მირბიან წინ, საკუთარი კარის დაცვა ავიწყდებათ. ეს შეტევას ძალას მაინცარ მატებს.

უნდა ღირსეული მივუზღოთ „სპარტაკს". იმის მიუხედავად, რომ გუნდი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა (ყველა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა გუნდი, დარჩა მხოლოდ ახალგაზრდობა), „სპარტაკი" ღირსეულად გამოდის როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ისე უეფას თასზე. მართალია, საქმე მთლად კარგად არა აქვს დაცვით ხაზზე, მაგრამ ახალგაზრდა მცველებს და ერთადერთ გამოცდილ გორლუკოვიჩს ბევრს ვერც მოსთხოვ. აქ გუნდი კი არ უნდა გააკრიტიკო, არამედ გაამხნევო. პირველ რიგში უნდა შევაქოთ მთავარი მწვრთნელი გიორგი იარცევი, რომელმაც დაძლია სიძნელეები. ვფიქრობ, „სპარტაკი" მიღწეულით არ დაკმაყოფილდება და მეტი წარმატება ეწევა უეფას თასზე.

რუსული ფეხბურთისათვის საერთოდ დამახასიათებელია ის პრობლემები, რომელთა წინაშე „ალანია" დგას. ის ხომ ჩემპიონია. არ შეიძლება უთავბოლოდ მიდიოდე წინ: ჩვენს გუნდებს კი ან მოწესრიგებული დაცვა ჰყავთ, ან კარგი თავდასხმა. ძალიან იშვიათია, რომ კარგი დაცვაც ჰყავდეთ და ასეთივე თავდასხმაც. გრძელი გადაცემები საჯარიმო მოედნისაკენ, უფრო სწორად, არაორგანიზებული შეტევა დღეს ეფექტს აღარ იძლევა. „აიაქსი" რომ „აიაქსია", ის იმიტომ დამარცხდა „გრასჰოპერსთან", რომ განუწყვეტლივ მიმართავდა გრძელ, მაღალ გადაცემებს. ჩვენი გუნდები ამ მხრივ ძალიან სცოდავენ და თუ ასეთ ტაქტიკას ჩვენთან ზოგჯერ მაინც მოაქვს შედეგი, როცა მეტოქეები ცდებიან, ევროთასებზე ამნაირი თამაშით ვერაფერს გახდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში

პირველი
ჯგუფი
X ტური

ავუბნიეთ გზა-კვალი «ბოავიშტას»?

„დინამო“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 8-2

დინამო: ზოიძე, ზ. ჯელაძე, ნ. ლობჟანიძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გ. ჯელაძე (დ. მუჯირი), ინალიშვილი, დემეტრაძე (ხორგუაშვილი), კერძევაძე (ზამთარაძე), ანჩაბაძე, იაშვილი.

„ივერია“: გოგოლაძე, ნეკერაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გ. ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, შ. ლაცაბიძე, ტყემალაძე (გლუნჩაძე), ჩადუნელი (ზირაქაძე), კალმახელიძე, წივწივაძე, თორია.

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: ცქიტიშვილი — 3, ინალიშვილი, იაშვილი, ანჩაბაძე — 3, გლუნჩაძე, შ. ლაცაბიძე — პენალტით, გლუნჩაძე.

მკითხველი რომ დინამოელთა შემადგენლობას გაეცნობა, გაკვირვებული დარჩება. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მატჩს პორტუგალიის „ბოავიშტას“ მწვრთნელი რუი კაშაკა და მენეჯერი ედუარდო ალმეიდა ესწრებოდნენ (საქართველოში მათი სტუმრობის შესახებ „ლელო“ წინა ნომერში იუწყებოდა), ადვილი მისახვედრია ამის მიზეზი. აუბნიეს თუ არა გზა-კვალი თბილისელებმა სტუმრებს, ამ კითხვაზე პასუხს მალე შეიტყობთ.

ასეა თუ ისე, თბილისელებმა ძირითადი შემადგენლობის 8 ფეხბურთელი დაასვენეს (ჯამარაული, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი, მაჭავარიანი, კიკნაძე, კალაძე, კობიაშვილი, ხომერიკი), მაგრამ ამას თამაშის საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია. მათ ნაცვლად გამოსულმა ფეხბურთელებმა ღირსეულად ჩაატარეს შეხვედრა.

დებიუტანტი წინ მიიწევს

„მერანი-91“ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2-1

მერანი-91: დოლიძე, ივანიშვილი, არჩვაძე, ჭიშკარიანი (ბახტაძე), კაკუბავა, ქორიძე, კვარაცხელია, ხორხელი, ჭოლოკავა, გოგიბერიშვილი (დავითაშვილი), პერტია (ამბიძე).

ოდიში: ნაყოფია, კვიტატიანი, გუჩუა (აფაქიძე), ჭედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი (წიტაიშვილი), ჯიქია, გაბედავა, ფანცულაია, კალანდაძე.

გოლები: კვარაცხელია, ქორიძე, ჯიქია — პენალტით.

გაფრთხილება: ივანიშვილი, ფანცულაია.

თბილისელთა შეტევის ლიდერმა ბადრი კვარაცხელიამ მატჩის დასაწყისშივე გახსნა ანგარიში: საჯარიმოში ჩაწოდებულ მაღალ ბურთს, მან ზუსტი თავური დაუხვედრა. თითქოს ამას ელოდნენო, სტუმრებმა სახიფათოდ შეუტიეს დოლიძის კარს. საუცხოო ფიზიკური მომზადების წყალობით, მათ მთელ მოედანზე პრესინგი შესთავაზეს თბილისელებს. მიუხედავად ამისა, „ოდიშმა“ ვერა და ვერ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, უფრო მეტიც — ქორიძემ მშვენივრად გამოიყენა სტანდარტული სიტუაცია და მეორე ბურთი გაუტანა ნაყოფიას. სტუმრებმა ისღა შესძლეს, რომ მატჩის ბოლო წუთზე პენალტით შეამცირეს ანგარიში.

სამწუხაროდ ერთერთ ორთაბრძოლაში თვალის მძიმე ტრავმა მიიღო ზუგდიდელთა წამყვანმა მოთამაშემ, ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ვალტერ გუჩუამ, რომელიც სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს.

მწვრთნელები — მიდიან, მწვრთნელები — მოდიან...

დღე არ გავა, არ შევიტყოთ მწვრთნელთა კორპუსში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

დღეს გვინდა გაუწყოთ გორის „დილაში“ შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამ კლუბში მწვრთნელის პოსტზე წლევანდელი ჩემპიონატის გათამაშების დაწყებამდე ორი კვირით ადრე დაინიშნა **ნიკა ამირეჯიბი**. იგივე ითქმის გუნდის უფროს **მერაბ კოჭლამაზაშვილზეც**. მათ მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს, საქმეც კარგადააწყვეს, რამდენიმე ტური გუნდი ლიდერობდა კიდეც, მაგრამ სრულქმნილი კოლექტივის ჩამოყალიბებას ხომ დრო უნდა. ამის შესახებ კი გუნდის მეპატრონეებს გაგონებაც არ უნდოდათ. წაიფორხილა თუ არა „დილამ“, მაშინათვე „ყელში წვდნენ“ მწვრთნელებს და აიძულეს წასულიყვნენ.

როგორც გავიგეთ, მათ ნაცვლად „დილაში“ დაუნიშნავთ **სოსო ჩამაკიძე** და **ზურამ ბაბუნია**. პირველი – მთავარ მწვრთნელად, მეორე კი – გუნდის უფროსად. მათი დებიუტი წარმატებული გამოდგა: IX ტურში „დილამ“ შინ „მარგვეთი“ დაამარცხა.

არ გამართლდა ხმები „დილას“ კლუბის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის წასვლის თაობაზე – **გია რევაზიშვილი** და **ალბერტ ხაღური** აგრძელებენ მოვალეობის შესრულებას.

„ლელოს“ წინა ნომერში მკითხველს ვაუწყეთ – თბილისის „თსუ-შევარდენის“ მთავარი მწვრთნელის **უჩა ქანთარიას** გადადგომის შესახებ. მის მოვალეობას ჯერჯერობით თანაშემწე **ელგუჯა ხუციშვილი** ასრულებს. ხუციშვილის დებიუტიც იღბლიანი გამოდგა – IX ტურში „თსუ-შევარდენმა“ შინ ლანჩხუთის „გურია“ დაამარცხა.

საინტერესოა, ვინ დაიკავებს ქანთარიას ადგილს? საფეხბურთო წრეებში ასახელებენ შესაძლო კანდიდატებს – **ჯონი ჯანელიძეს** (მას, თურმე, „დურუჯის“ თავკაცობა შესთავაზეს), **მერაბ კოჭლამაზაშვილს**... ზოგიერთის ვერსიით, ამ პოსტზე **ელგუჯა ხუციშვილი** დაინიშნება.

ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ლანჩხუთის „გურიის“ მთავარი მწვრთნელი **გიგლა იმნაძე**. როგორც გახსოვთ, წლევანდელი გათამაშება „გურიამ“ დამაჯერებლად დაიწყო და კარგა ხანს ლიდერთა სამეულშიც კი იმყოფებოდა, მაგრამ ბოლო დროს გუნდში ფინანსური პრობლემები გაჩნდა. უხელფასო, „მშიერი“ ფეხბურთელები აღარ ვარჯიშობენ და გუნდიდან გაქცევას ლამობენ. ისინი მხოლოდ მთავარი მწვრთნელის ხათრით რჩებიან, მაგრამ ერთხელაც იქნება და მოთმინების ფიალა იმნაძესაც აევსება...

ანალოგიური პრობლემებია ხაშურის „ივერიაში“, სადაც მწვრთნელად ახალგაზრდა **მალხაზ ლაცაბიძეა**. რაიონის გამგეობამ უკვე რამდენიმეჯერ „გააცურა“ იგი. ფეხბურთელები ხელფასს ლაცაბიძეს სთხოვენ, ლაცაბიძე – გამგეობას, გამგეობა კი...

მიმომხილველი

ქართველი ლეგიონერები ლატვიაშიც გამოჩნდნენ - რიგის «სკონტოში» სამი რუსთაველი ფეხბურთელი ითამაშებს

„ლელო“ იუწყებოდა, რომ ლატვიიდან რუსთავში ჩავიდა შუამავალი, რომელმაც დაიყოლია ხუთი ფეხბურთელი გასასინჯად წასულიყვნენ რიგის საუკეთესო გუნდ „სკონტოში“. როგორც შევიტყვეთ, მათგან სამმა — ალექსანდრე რეხვიაშვილმა, დავით ჩალაძემ და ლევან სილაგაძემ უკვე მოაწერეს ხელი კონტრაქტზე ლატვიურ კლუბთან.

ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების გადინებამ საქართველოდან რომ ულაზათო, არასასურველი მასშტაბები მიიღო, ამის შესახებ „ლელოს“ არაერთხელ აუტეხია განგაში. არსებობს სფფ-ის დადგენილება, რომ 23 წლამდე ფეხბურთელთა გაყიდვა კლუბებს არ შეუძლიათ, და, მაინც, საქართველომ მტკიცედ დაიმკვიდრა ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ახალგაზრდების ექსპორტიორი ქვეყნის სახელი. ვითომ ფეხბურთელების გაყიდვისაგან შემოსული თანხები ქართული კლუბების საკეთილდღეოდ იხარჯება?

საკითხავი და გასარკვევი დღეს ესეც არის.

გერმანიაში წარმატებით თამაშობენ

*გერმანიის რეგიონალლიგის გუნდებში წარმატებით გამოდიან ქართველი ლეგიონერები **დიმიტრი პაპავა** და **მელორ ბიგვავა**. 28 წლის პაპავა „ნოინკირხენში“ გუნდის კაპიტანი და ერთერთი წამყვანი ფეხბურთელია, ხოლო 33 წლის მელორ ბიგვავა, რომელიც „საარბრიუკენში“ თამაშობს, სისტემატიურად შეჰყავთ ტურის სიმბოლურ ნაკრებში.*

*კარგ სპორტულ ფორმაშია „ჰომბურგში“ მოთამაშე მეკარე **ნიკა ჩხეიძეც**.*

*აი, **კახი კაჭარავას** კი არ გაუმართლა. იგი ამჟამად უგუნდოდ დარჩა. თბილისში ჩამოვიდა და „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს.*

სურათზე: ნიკა ჩხეიძე

მეორე ჯგუფი

გაიმართა VIII ტურის მატჩები

აღმოსავლეთი ზონა

ლოკომოტივი — მრეტები 0-0, არმაზი — შსს აკადემია 1-4; კოდაკო — შირაქი 0-0; ჟინერი — ჰერეთი 4-2, მესხეთი — ცხინვალი 0-1, 35-სტუ — სამგორი 7-2, დურუჯი — შევარდენი-2 1-0, თორი — იბერია 2-1, მორკინალი — ასკ 3-0.

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლოკომოტივი	(თბილისი)	8	6	2	0	16–2	20
მორკინალი	(თბილისი)	8	5	2	1	16–3	17
ასკ	(თბილისი)	8	5	1	2	17–12	16
შსს აკადემია	(თბილისი)	8	5	0	3	23–11	15
არმაზი	(მცხეთა)	8	5	0	3	17–15	15
სამგორი	(გარდაბანი)	8	4	1	3	15–15	13
ცხინვალი		8	4	0	4	12–9	12
დინამო-2	(თბილისი)	7	3	2	2	16–10	11
კოდაკო	(თბილისი)	6	3	2	1	5–6	11
იბერია	(ქარელი)	8	3	1	4	13–12	10
შირაქი	(დედოფლისწყარო)	7	3	2	2	9–10	10
შევარდენი-2	(თბილისი)	8	3	1	4	9–13	10
მრეტები	(თბილისი)	7	2	4	1	7–7	10
ჟინერი	(ჟინვალი)	6	3	0	3	13–13	9
თორი	(ბორჯომი)	6	3	0	3	7–10	9
35-სტუ	(თბილისი)	7	2	2	3	16–12	8
მესხეთი	(ახალციხე)	6	1	0	5	5–18	3
დურუჯი	(ყვარელი)	7	1	0	6	5–24	3
ჰერეთი	(ლაგოდეხი)	7	0	2	5	7–15	2
ავაზა	(თბილისი)	6	0	0	6	5–16	0

დასავლეთი ზონა

ოლიმპია — საპოვნელა 2-0, ჩხერიმელა — სამეგრელო 1-3, ტორპედო-2 — კოლხეთი-2 2-0, სალხინო — ოდიში-2 2-0, კახაბერი — მეშახტე 0-2, სულორი — მამისონი 3-2, ბათუმი-2 — სქური 2-0, ეგრისი — იმერეთი 2-1, მალაროელი — მერცხალი 1-0

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მალაროელი	(ჭიათურა)	8	8	0	0	32–7	24
მეშახტე	(ტყიბული)	8	7	0	1	21–4	21
სალხინო	(მარტვილი)	8	5	1	2	19–11	16
მერცხალი	(ოზურგეთი)	8	5	1	2	21–8	16
ოლიმპია	(ხობი)	8	5	1	2	14–11	16
იმერეთი	(ხონი)	8	4	2	2	15–8	14
კოლხეთი-2	(ფოთი)	8	4	1	3	13–7	13
სულორი	(ვანი)	8	3	3	2	7–8	12
სქური	(წალენჯიხა)	8	3	2	3	9–11	11
მამისონი	(ონი)	8	2	2	4	21–21	8
სამეგრელო	(ჩხოროწყუ)	8	2	2	4	10–15	8
ტორპედო-2	(ქუთაისი)	8	2	2	4	9–17	8
კახაბერი	(ხელვაჩაური)	8	2	1	5	8–23	7
ეგრისი	(სენაკი)	8	2	1	5	11–19	7
საპოვნელა	(თერჯოლა)	8	1	4	3	7–15	7
ბათუმი-2		8	1	2	5	4–16	5
ოდიში-2	(ზუგდიდი)	8	0	3	5	3–12	3
ჩხერიმელა	(ხარაგაული)	8	1	2	5	6–17	0

პატივი ვცეთ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს!

რეპლიკა

საკითხები, რომლებსაც ახლა შევეხებით, ვფიქრობთ არ არის უმნიშვნელო და იმსახურებს საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას. რაც უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ ასეთ „წვრილმანებს“, მით უკეთესი ქართული ფეხბურთისათვის.

ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე არ დადიხართო — ხშირად ვსაყვედურობთ გულშემატკივრებს. დავფიქრებულვართ მიზეზებზე?

გეთანხმებით, ზოგიერთი გუნდის თამაშის ხარისხი იმდენად დაბალია, იმდენად დუნედ და უინტერესოდ მიმდინარეობს მატჩები, რომ ნამდვილად არ ღირს მათი ყურება. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. არის სხვა მიზეზებიც, რაზედაც ღირს დაფიქრება. **მხედველობაში გვაქვს სტადიონებზე მაყურებელთა მომსახურეობის (სერვისის) დაბალი დონე.**

1. ცუდია გულშემატკივართა ტრანსპორტით მომსახურება.

ეს პრობლემა შედარებით ნაკლებად აწუხებს თბილისელებს. ოღონდ ეგაა, მეტრო-ტროლეიბუსი-ტრამვაის გარდა სხვა სახის ტრანსპორტი ძვირია. ახლა რაიონები ავიღოთ. ვთქვათ, თელაველ კაცს მატჩზე დასწრება რომ მოუნდეს, რა სახის ტრანსპორტით მიაღწევს სტადიონამდე? იგივე ითქმის ჩხოროწყუზე, ჭიათურაზე, თერჯოლაზე... ნუთუ მატჩის დღეს ქალაქის ხელმძღვანელობას არ შეუძლია გამოყოს ტრანსპორტი სტადიონამდე გულშემატკივართა გადასაყვანად?

2. უმეტესი სტადიონების ტრიბუნები სავალალო მდგომარეობაშია, სკამები დალეწილი და დასაჯდომად უვარგისია. შორს რად მივდივართ, ყოფილხართ „შევარდენის“ სტადიონზე? აღმოსავლეთ ტრიბუნაზე რომ დაჯდები, სკამები იმდენად დამპალია, დიდი შანსი გაქვს მოხვდე ტრიბუნის ქვეშ. ანალოგიური სიტუაციაა ყვარელში, ახალციხეში, ქობულეთში, ხონში... ანდა, ვთქვათ, დასაჯდომი იპოვნე — სტადიონიდან პირდაპირ ქიმწმენდის ობიექტების საძებნელად უნდა გაეშურო, იმდენად დაბინძურებულია სკამები.

3. სტადიონის მუშაკები არ ზრუნავენ მატჩების რეკლამირებაზე, მაყურებელთა საინფორმაციო უზრუნველყოფაზე. ეროვნული ჩემპიონატების პირველ წლებში აფიშებიც იკვრებოდა ქალაქებში, განცხადებებიც ქვეყნდებოდა გაზეთებში, სტადიონებზე ტაბლოც მუშაობდა და რადიოინფორმაციასაც მიიღებდი მატჩში მონაწილე გუნდებისა და მათი შემადგენლობის შესახებ. ახლა ამ საკითხს საერთოდ აღარ აქცევენ ყურადღებას.

ვითომ „წვრილმანია“ ეს ყველაფერი?

სადაც თამაშობს კასპაროვი...

წლეულს მსოფლიო ჩემპიონ კასპაროვს არც ისე ბევრ შეჯიბრებაში მოუხდა მონაწილეობა. თანაც უკვე აშკარად შეიმჩნევა ერთი რამ: სადაც კასპაროვი თამაშობს, იმ ტურნირში კარპოვი არ მონაწილეობს, სადაც კარპოვი წინასწარ აცხადებს თანხმობას შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ, იქ უკვე კასპაროვი არ ჩადის. ასე, მაგალითად, კარპოვმა კარგა ხანია მოიწონა იდეა მსოფლიო პირველობის მოწყობის შესახებ ოლიმპიური სისტემით, კასპაროვი კი ფიდეს პრეზიდენტ ილიუმჟინოვის ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდა.

ოქტომბერში სოფიაში გაიმართება ამხანაგური მატჩი გარი კასპაროვსა და 21 წლის ვესელინ ტოპალოვს შორის. ეს შეხვედრა მრავალმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი, შარშან ბულგარელმა ყაიმით დაასრულა (2:2) მატჩი ანატოლი კარპოვთან, ამდენად ჩვენ შედარების საშუალება მოგვეცემა, მეორეც – მთელი წლევანდელი სეზონის განმავლობაში ტოპალოვი, რომელიც ადრე, გასაგებია, თუნდაც თავისი ასაკის გამო, არ შედიოდა მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების წრეში, ახლა სრულიადაც არ უფრთხის ავტორიტეტებს და მაღალ საპრიზო ადგილებს იყოფს ყველა საერთაშორისო ტურნირში. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ტოპალოვი მხოლოდ უმაღლესი (მეცხრამეტე, მეთვრამეტე, მეჩვიდმეტე...) კატეგორიის შეჯიბრებებში გამოდის.

აი, ახლა კი ცნობა კასპაროვის სულ სხვა ტიპის მატჩის შესახებ. გაისად 3-10 მაისს ნიუ-იორკში იგი კვლავ შეხვდება უძლიერეს კომპიუტერ „დიპ ბლიუს“, რომელსაც შარშან სძლია ანგარიშით 4:2. ამასთან, „დიპ ბლიუს“ შეეძლო უკეთესი შედეგისათვისაც კი მიეღწია, მაგრამ მეხუთე პარტიაში მისმა ავტორებმა თანაბარ პოზიციაში უარი თქვეს ყაიმზე. როცა მათ ჰკითხეს, რატომ მოიქცნენ ასე, მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მათთვის მთავარი იყო არა მატჩის სპორტული შედეგი, არამედ ექსპერიმენტის რაც შეიძლება ღრმად ჩატარება და სულ მალე „დიპ ბლიუ“ უკეთ ითამაშებს. ამ დღეებში კი მათ განაცხადეს: „ახლა ჩვენ დავაზუსტეთ ჩვენი ტექნოლოგია და ვმუშაობთ თამაშის გასაძლიერებლად. ჩვენ ვაპირებთ კასპაროვის დამარცხებას“. კასპაროვმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ კომპიუტერი ახალ მატჩს უკეთესად ჩაატარებს.

როგორც გარი კასპაროვისა და კომპანია იბმ-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, მატჩში გამარჯვებული 700 ათას დოლარს მიიღებს, წაგებული კი 400 ათას დოლარს. მატჩი დიდ სპორტულ ინტერესთან ერთად, გასაგებია, მეცნიერულ ინტერესსაც იწვევს. კასპაროვს იმედი აქვს, რომ მისი ცოდნა, ინტუიცია და ფანტაზია საშუალებას მისცემს დათრგუნოს ეს არაჩვეულებრივ ძლიერი მანქანა.

ნბა–ს ამბები

✦ **მსოფლიოს** ყველაზე ტანმაღალმა კალათბურთელმა სუდანელმა მანუტე ბოლმა, რომლის სიმაღლეა 230 სმ, მიატოვა ეროვნული ლიგა და სათამაშოდ გადავიდა იტალიაში, სადაც გააფორმა კონტრაქტი „მონტანასთან“. მაგრამ ამ შენაძენმა ქალაქ ფორლის გუნდს ჯერჯერობით ვერაფერი მოუტანა. ეროვნული ჩემპიონატის ორივე მატჩი „მონტანამ“ წააგო, თანაც ბოლმა თავის გუნდს მხოლოდ 12 ქულა (ორთავე შეხვედრაში) შესძინა.

✦ **ერთ-ერთმა** უძლიერესმა მცველმა ნბა-ში რეჯი მილერმა, კიდევ სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი „ინდიანასთან“ და ამაში 36 მილიონი დოლარი მიიღო. მილერმა ეროვნულ ლიგაში თამაშის ყველა 9 წელი სწორედ „ინდიანაში“ გაატარა, რაც ნბა-სთვის თავისებური რეკორდია.

✦ **კიდევ** ერთმა სუპერმცველმა — ჯონ სტოკტონმა გააგრძელა კონტრაქტი თავის კლუბთან, „იუტა ჯაზთან“. ხელშეკრულება აქაც 3 წლით გაფორმდა, ოღონდ თანხა გაცილებით ნაკლებია — 15 მილიონი დოლარი. შეგახსენებთ, რომ სტოკტონს ნბა-ს ყველა დროის რეკორდი ეკუთვნის „საგოლე პასებსა“ და „ბურთის ჩაჭრაში“.

✦ **ნბა-ს** ერთ-ერთმა ყველაზე ასაკოვანმა კალათბურთელმა რობერტ პერიშმა ჩემპიონის სამი ტიტული „ბოსტონ სელტიქსის“ შემადგენლობაში მოიპოვა. ახლა იგი „ჩიკაგოში“ გადავიდა და, როგორც ჩანს, მეოთხე ჯილდოს უმიზნებს. შეგახსენებთ, რომ 43 წლის ცენტრალურმა თავდამსხმელმა წლეულს უარი უთხრა „მინესოტას“, „მილუოკსა“ და „დეტროიტს“. მიმდინარე სეზონი პერიშისთვის 21-ე იქნება. ამით იგი გააუმჯობესებს ქარიმ აბდულ-ჯაბარის რეკორდს — 20 წელს. შეგახსენებთ, რომ პერიშმა აბდულ-ჯაბარს ერთი რეკორდი უკვე ჩამოართვა — ნბა-ში ნათამაშები მატჩების რაოდენობისა.

✦ **როგორც** ირკვევა, „კლივლენდ კავალიერსის“ რამდენიმე მოთამაშე სერიოზულადაა ტრავმირებული, რაც შეეხება ლერი ნენსსა და ბრეტ დოჰერტს, ისინი პერმანენტული ტრავმების გამო საერთოდ წავიდნენ სპორტიდან. სულ რამდენიმე დღის წინ შემადგენლობას გაურკვეველი დროით გამოაკლდა ახლახან მიღებული ლიტველი ჟიდრუნას იგლაუსკასი.

✦ **იუგოსლაველმა** გამთამაშებელმა ალექსანდრე ჯორჯევიჩმა ხელი მოაწერა კონტრაქტს „პორტლენდთან“. იგი გულწრფელადაა გახარებული იმით, რომ თამაში მოუწევს ევროპის საუკეთესო კალათბურთელის არვიდას საბონისის გუნდში. მაგრამ საქმე ისაა, რომ „პორტლენდს“ შვიდწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებელ კენი ანდერსონთან, ასე რომ, ჯორჯევიჩის პერსპექტივები ერთობ ბუნდოვანია.

✦ **„მინესოტას“** საერთაშორისო განყოფილების უფროსის ბორის კარებინის 18 წლის ვაჟმა ბოგდანმა ნბა-ს სეზონისწინა ბანაკის მატჩებში ფურორი მოახდინა. ახალბედამ ორ შეხვედრაში 37 ქულა აიღო, თანაც ექვსიდან ხუთი ზუსტი სამქულიანი სტყორცნა. ამჟამად მან მალტაში „ლუქსოლის“ კლუბთან მოაწერა ხელი კონტრაქტს, მაგრამ ნბა-ს აყვანილი ჰყავს აღრიცხვაზე.

✦ **1996 წლის** დრაფტის პირველ რაუნდში „საკრამენტო კინგზმა“ მეთოთხმეტე ნომრად აიყვანა 19 წლის პრედრაგ სტოიაკოვიჩი და 2 წლით დაუთმო საბერძნეთის პაოკს, რომელიც ორ სეზონში 800 ათას დოლარს გადაუხდის კალათბურთელს.

ველოსპორტის ამბები

✱ **დამთავრდა,** მნიშვნელობით მესამე, მრავალდღიანი ველორბოლა („ტურ დე ფრანსისა“ და „ჯირო დ'იტალიის“ შემდეგ) ესპანეთის 22-ეტაპიანი ტური „ვუელტა“. სამივე პირველი ადგილი შვეიცარიელმა ველოსიპედისტებმა დაისაკუთრეს: ალექს ცულემ — 97:31.46, ლორან დიუფომ — მინუს 6.23 და ტონი რომინგერმა — მინუს 8.29. რბოლის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა (მიგელ ინდურაინის შემდეგ, რომელიც ადრევე გამოეთიშა შეჯიბრებას) ფრანგმა როლან ჟალაბერმა მხოლოდ XIX ადგილი დაიკავა (გამარჯვებულს თითქმის 28 წუთით ჩამორჩა) მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ეტაპზე საკვებით მოიწამლა და, ფაქტობრივად, შეწყვიტა ბრძოლა საპრიზო ადგილებისათვის.

✱ **რუსი** ევგენი ბერზინი მომავალი სეზონიდან სათავეში ჩაუდგება ახალ იტალიურ ველოჯგუფ „ბატიკს“, რომელსაც დააფინანსებს ხილის წვენების დამამზადებელი მულტიეროვნული კომპანია. ჯგუფის სპონსორი იქნება აგრეთვე მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ხილის დამაკონსერვებელი ფირმა „დელ მონტე“.

✱ **იმ შემთხვევაში** თუ მიგელ ინდურაინი კიდევ ერთ სეზონს იასპარეზებს „ბანესტოს“ შემადგენლობაში, ამავე სახელწოდების ესპანეთში საკმაოდ ცნობილი ბანკი სამუდამო სამსახურს გამოუნახავს მას. ასეთი განცხადება გააკეთა „ბანესტოს“ ბანკის გენერალურმა დირექტორმა ლუის აბრილმა. კონკრეტულად რა თანამდებობაზეა ლაპარაკი ჯერ არავინ იცის. ვარაუდობენ, რომ ეს იქნება „პაბლიკ რილეიშნსი“.

✱ **საფრანგეთის** ველოსპორტის ფედერაციამ გამოაქვეყნა იმ 18 ველოსიპედისტის გვარი, რომლებიც გამოვლენ მსოფლიოს ჩემპიონატში (შვეიცარია, ლუგანო). გუნდის შემადგენლობაში არიან გამოცდილი სპორტსმენებიცა (ლორან ჟალაბერი, ლიუკ ლებლანი, რიშარ ვირანკი) და ახალგაზრდებიც.

✱ **„კარერას“** ველოსიპედისტთა — კლაუდიო კიაპუჩისა და მარკო პანტანას კონფლიქტმა უმაღლეს წერტილს მიაღწია და, როგორც ჩანს, მომავალი სეზონიდან ისინი დასცილდებიან ერთმანეთს. წინასწარი ვარაუდით, კიაპუჩი დარჩება „კარერაში“, „პანტანა“ კი ახალშექმნილ იტალიურ ჯგუფში — „მერკატონე უნოში“ გადავა. შარშან პანტანამ მძიმე ტრავმა მიიღო და ახლა მას სარეაბილიტაციო ვადა უმთავრდება.

✱ **რუსეთის** ველოჯგუფის „როსლოტოს“ ერთ-ერთი ლიდერი, იტალიელი მაურიციო ფონდრიესტი მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას არ აპირებს. მას განზრახული აქვს „მოიშუშოს წლის განმავლობაში მიღებული ჭრილობები“.

✱ **წარუმატებლად** დამთავრდა ფრანგი ველოსიპედისტის ჟანი ლონგოს ცდა, გაეუმჯობესებინა ინგლისელი ივან მაკგრეგორის მსოფლიო რეკორდი საათიან რბოლაში — 47 კმ 411 მ. ფრანგ ველოსიპედისტს 1 კილომეტრი დააკლდა რეკორდამდე 46 კმ 507 მ.

✱ **რუსეთის** ველოსიპედისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კარლო შენგელიამ დაასახელა გუნდის შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის პირველობაში. მათ შორის არიან სანქტ-პეტერბურგის (5), ტულის (6), მოსკოვის (4), სამარის, როსტოვისა და ვორონეჟის წარმომადგენლები.

პროფესიულ რინგზე

☑ **როგორც** ვიუწყებოდით, მაიკ ტაისონის პირველი მწვრთნელის, ლეგენდარულ კას დ'ამატოს თანაშემწემ კევინ რუნიმ სასამართლოში უჩივლა მსოფლიოს ჩემპიონს. იგი მოითხოვს დაემატოს დ'ამატოს მიერ მოცემული პირობის შესრულებას, რომლის თანახმად ტაისონის შემოსავლიდან 10 პროცენტი სწორედ მას ეკუთვნის. რუნიმ ეს თანხა 49 მილიონი დოლარით განსაზღვრა, სასამართლომ კი მას მხოლოდ 4 მილიონ, 415 ათას 651 დოლარი დაუმტკიცა. მაგრამ ტაისონს არც ეს გადაწყვეტილება მიაჩნია სამართლიანად. სწორედ ამიტომ ტაისონი გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. საინტერესოა, რომ დ'ამატოს 91 წლის მეგობარმა კამილა ევალდმა, რომელიც ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება, უარყო რუნის პრეტენზიები და განაცხადა, რომ ასეთი ხელშეკრულება რუნისთან არც ოფიციალურად და არც სიტყვიერად არ დადებულა.

☑ **მაიკ ტაისონმა** რომ უარი განაცხადა ინგლისელ ლენოქს ლუისთან ორთაბრძოლაზე, ეს უკვე ყველამ იცის. ცნობილია ისიც, რომ ტაისონს, ამის გამო ჩამოერთვა ჩემპიონის ტიტული ვბს-ს ვერსიით და ვაკანტური ადგილის დასაკავებლად დაინიშნა ორთაბრძოლა იმავე ლუისსა და ოლივერ მაკოლის შორის. ამ მატჩის გამართვის სურვილი ჯერ „კუშნირ პროდაქშნის“ ფირმამ გამოთქვა და ივალდებულა 5,2 მილიონი დოლარის გადახდა. მერე ინიციატივა „მაინ ევენტის“ ფირმამ იგდო ხელთ – 6,15 მილიონი დოლარი. მაგრამ ორთავე პრეტენდენტს აჯობა ცნობილი პრომოუტერის დონ კინგის ფირმამ, რომელიც ვბს-ს 9,15 მილიონ დოლარს გადაუხდის. შეხვედრის ზუსტი თარიღი მოგვიანებით გამოქვეყნდება.

კროსვორდი



თარაზულად: 5. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდის წევრი — ქართველი მოჭადრაკე, 7. ხელოვნური კიდური, 8. დასაბამიდან ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა, 11. ველოსიპედისტთა სასპარეზო, 12. სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი, 13. სითხის საზომი ერთეული, 16 ტარტუს სპორტული კლუბი, 17. ძველად ვაჭრებისა და ხელოსნების გაერთიანება, 21. ვინმეზე გაწეული შრომა, 22. ზარალი, დანაკლისი, 23. სოფელი ქართლში, 26. სასწავლებელში მეცადინეობის დროის მონაკვეთი, 27. სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდება, 28. ქართული კინოფილმი.

შვეულად: 1. ჭაბუკი სპორტსმენი, 2. სპორტული გაერთიანება, 3. რადიაქტიული ქიმიური ელემენტი, 4. თავადზე დაბლა მდგომი, 6. ქალაქი ჩეჩნეთში, 9. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი, 10. სხვაგვარად მოაზროვნე, 14. პურეულის სალეწი ძველი იარაღი, 15. მატჩის ერთი ნახევარი, 18. მხარე საქართველოში, 19. რაიონული ცენტრი ქართლში, 20. შემნახველ სალაროში შეტანილი ფული. 24. ტროპიკული ციტრუსი, 25. უდანაშაულობის დასაბუთება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. ეშერა, 5. „ქალგირისი“, 6. შტანგა, 8. წრიაპი, 12. მეკარე, 13. ორძელი, 14. გილაური, 16. პელე, 17. ფიდე, 18. ჩოხა, 19. შუბი, 21. იურმალა, 24. სლავია, 25. კარავი, 28. კატერი, 29. ქარტია, 30. მკლავჭიდი, 31. შელია.

შვეულად: 1. შეჯიბრება, 3. ჩანგი, 4. „ოსერი“, 7. ტური. 9. პერი. 10. მეტრეველი, 11. ალთაბაევი, 14. გეიმი, 15. იახტა, 20. ფილა, 22. მწვერვალი, 23. წამი, 26. ტრეკი, 27. ნარდი.

საჭადრაკო ამოცანა

ვ. ლიხუნოვი
ა. [illegible]



შამათი 3 სვლაში

გაზეთ ლელოს რედაქცია სამძიმარს უცხადებს კოლეგა ჟურნალისტს შალვა მირიჯანაშვილს დედის გარდაცვალების გამო

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.
„ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა ხელმძღვანელი გ.სიმონიშვილი. შემსრულებლები მ. წოწორია, ნ.რამიშვილი, გ სურმავა